# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 6 მაისი 2003 №80 (1851) | ფასი 50 თეთრი




# რეალი VS იუვენტუსი

## ვისენტე დელ ბოსკე: ჩვენ ვიცინებთ

## მარჩელო ლიპი: რეალი ამაყი სულელების გემია







შუაღამეს ორიოდ საათი რომ გადასცდება, მაშინ გამოჩნდება, ვინ იყო მართალი, მარჩელო ლიპი თუ ფაბიო კაპელო. დიახ, კაპელო და არა ვისენტე დელ ბოსკე.

ფაბიო კაპელომ, ახლა „რომას", თავის დროზე კი „რეალის" მწვრთნელმა, ტურინელთა გასაგონად თქვა, „იუვენტუსს" „რეალის" „მალიორკასთან" მარცხი ნუ გაახარებს, რაკი იმ მარცხის გამო მადრიდელები უფრო საშიშნი გახდებიანო.

და თუ ასეა, მარჩელო ლიპის სიტყვებმა რეალელები ორმაგად უნდა გააბრაზოს და ორმაგად საშიში გახადოს. „იუვეს" მწვრთნელმა მეტოქეს სულელი უწოდა. არა, პირდაპირ ასე არ უთქვამს, მაგრამ ასე გამოუვიდა: „არ მჯერა, რომ „მალიორკასთან" წაგებიდან „რეალი" დასკვნას გამოიტანსო.

მოგეხსენებათ, ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, უკიდურეს შემთხვევაში — საკუთარზე, ხოლო ვინც არ სწავლობს, სულელია, აბა, ვინ არის. აი, რა გამოუვიდა ლიპის.

რაზე სწავლობს დელ ბოსკე სწორედ რომ ვერ მოგახსენებთ, თუმცა „იუვესთან" მატჩის წინ თქვა: სეზონი გრძელია და ერთ მატჩში ნებისმიერ გუნდს შეიძლება შეემთხვეს ის, რაც „მალიორკასთან" დაგვემართაო, ამ სეზონში ისე ვთამაშობთ, ჩვენს გულშემატკივრებს სასაცილოდ უფრო აქვთ საქმე, ვიდრე სატირლადო.

ლიპის პასუხი კი ასეთია: ჩვენთან იტალიაში, ლიდერმა საშუალო გუნდთან 1:5 რომ წააგოს, ხალხი სიცილით დაიხოცებაო.

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, დიდი ბრძოლის წინ მწვრთნელები სიტყვით ებრძვიან ერთმანეთს. დღეს, ლიგის ნახევარფინალში „რეალი" — „იუვენტუსია" და ერთიც არცთუ უმნიშვნელო ფაქტორიც: დღეს ზინედინ ზიდანი პირველად ითამაშებს თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ.

# გაწი-გამოწი, ესაა, გაწევა-გამოწევაა

## აზრზე მოსული ბიჭების პლეიომობანა

საქართველოს 12 ჩემპიონატი

ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის პლეი ოფი დიდი ხნით არ შეჩერებულა პირველ წრეზე, „დინამომ", „აზოტმა", „ბასკომ" და სტუ-მ თვალის დახამხამებაში გაიარეს მეოთხედფინალი, ორ-ორ მატჩში მოუთავეს ხელი მეტოქეებს, 7 მაისიდან კი ნახევარფინალში ერთმანეთზე გაიწევენ. გაწევა ვახსენეთ და ბარემ ვთქვათ — გაწევ-გამოწევა, ჩხუბი და აყალმაყალი ხომ ისე დასდევს შინაურ კალათბურთს, როგორც მელას თავისი მყრალი კუდი. უინციდენტოდ ვერ ჩაიარა შედარებით თანაბარი გუნდების, „აზოტისა" და თსუ-ს სერიამ. მეტოქეები ერთმანეთს არ დარევიან და მსაჯებიც მშრალი ამოვიდნენ წყლიდან, თორემ კალათბურთელებსა და მაყურებელს შორის გინება და „აზრზე მოდი ბიჭო" რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზშიც გაისმა და ვერის ბაღშიც.

სხვამხრივ, „აზოტმა" იოლად, ორი მატჩის ჯამში 47 ქულით აჯობა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს, რომელიც სრული საბრძოლო განწყობით ვერ შეხვდა პლეი ოფს, ან ეს განწყობა მალევე გაუნელდა.


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




გოჩა არსიაშვილის თსუ „აზოტს" შეასკდა

## 2004 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი
### მეორე შესარჩევი ეტაპი


სანდრო იაშვილმა (№10) ჩრდილოეთ ირლანდიას გაიტანა, იტალიასთან კი სამიზნე ვერ გაისწორა

# გედის სიმღერამდე ლატვიაა
## კორღალიძის პროგნოზი სამ წუთში აორთქლდა

38 წუთის განმავლობაში საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები იტალიელ თანატოლებს ანგარიშით ჯაბნიდა და ოთარ კორღალიძეც ამ ხნის მანძილზე ძალიან ახლოს თუ არა, არც ისე შორს იყო დასახულ მიზანთან. მერე იტალიამ იძალა, საქართველოს ერთის საპასუხოდ სამი გაუტანა და ევროპის ჩემპიონატის მეორე ჯგუფური ეტაპიც ჩვენებურთათვის, ფაქტობრივად, დასრულდა.

კორღალიძის გუნდი იტალიელთა მძლეველი და ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელი რომ არ იყო, კი ვგრძნობდით, მაგრამ მწვრთნელი ამბობდა, პირველი ადგილის გარდა სხვა შედეგის გაგონებაც არ მსურსო და სხვა რა ჩარა იყო, ვუჯერებდით.

ცხრამეტწლამდელებს მაინცდამაინც საუცხოო მოსამზადებელი პირობები არ ჰქონიათ, ნაკრები გაცილებით მეტს იმსახურებდა. ჩვენ არ ვიცით, რატომ გააძევეს ჩრდილოეთ ირლანდიასთან ირაკლი მოდებაძე, სადაც ათკაციანმა საქართველომ ანგარიშის გაქვითვა მოახერხა. კორღალიძის გუნდი უგებდა იტალიას და თუ მის ნათქვამსვე დავუჯერებთ, მსაჯს ჩვენს კარში ტყუილი პენალტი გამოუგონია. სხვა მიზეზებსაც დავასახელებდით, თუნდაც იმას, რომ ჩვენმა მწვრთნელებმა თითქმის არაფერი იცოდნენ მეტოქეთა შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ უშეცდომონი არც კორღალიძე და მისი თანაშემწეები იყვნენ.

უპირველესად სელექციას დაუწუნებენ ნაკრების თავკაცებს. უსაყვედურებენ, რამდენიმე მოთამაშე გუნდს გარეთ უსამართლოდ დარჩაო. ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ლომაძე, ვისაც კორღალიძემ ორივე თამაშში ძირითადობა არგუნა. რა კრიტერიუმებით ხვდება სასტარტო თერთმეტეულში პრაქტიკანაკლული ფეხბურთელი და საერთოდაც, ხომ უნდა გავარკვიოთ, ვინ ვინ არის.

კორღალიძის გუნდს ახლა მხოლოდ მეორეობის შანსიღა დარჩენია. ესეც იმ შემთხვევაში, თუ დღეს ლატვიას მოუგებს. თბილისიდან გამგზავრებამდე მწვრთნელი იმას გაიძახდა, ბალტიისპირელები შესწავლილი გვყავსო, მაგრამ იმ ლატვიამ იმ ჩრდილოეთ ირლანდიას სძლია, რომელიც თამაშს გვიგებდა და დამარცხებას ტაიმის ბოლოსღა გადავურჩით.

**მამუკა ქვანტალიანი**

**I ტური**

**იტალია 4:1 ლატვია**

**საქართველო 1:1 ჩრდ. ირლანდია**

0:1 ბრუნტი (62), 1:1 იაშვილი (88)

**II ტური**

**ლატვია 1:0 ჩრდ. ირლანდია**

**იტალია 3:1 საქართველო**

0:1 მარცვალაძე (4), 1:1 დელა როკა (42), 2:1 ლოდი (45პ), 3:1 პაზინი (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| საქართველო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |

*დღეს: ჩრდ. ირლანდია — იტალია, ლატვია — საქართველო*

### გერმანია
**II ბუნდესლიგა. XXXI ტური**

მაინცი 3:2 აინტრახტი

### პორტუგალია
**I ლიგა. XXX ტური**

გიმარაეში 1:1 შილ ვისენტე

### ნორვეგია
**IV ტური**

ბრანი 0:3 ვიკინგი

### შვედეთი
**V ტური**

ჰამარბი 2:1 მალმიო

ჰელსინგბორგი 0:0 იორებრო

ელფსბორგი 2:2 სუნდსვალი

### იტალია
**სერია B**

**XXXIII ტური**

სიენა 2:0 ლივორნო

## საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე ეტაპი — 6 ტური

### I–VI ადგილები

# ტავარიშ სუდია, ვილაპარაკოთ ქართულად!
## ატ ვაროტის მოულოდნელი პავაროტი

თბილისი. 3 მაისი. 18 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 2:0 კოლხეთი

1:0 სირაძე (71), 2:0 ნანა (90)

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, რ. ონიანი, კვარაცხელია (რუსია 21; კაიდარაშვილი 90), ქიქვეშვილი, სალასარი (ძოძუაშვილი 85), სირაძე, სოხელია, ნანა
*სათადარიგონი:* ივარდავა; გოგინაშვილი, გ. ონიანი, ზ. ლაცაბიძე
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**კოლხეთი:** ა. ლაბაძე, გოროზია, ქობულაძე, შ. ღონღაძე, ხადომია, გაბიდაური, კრასოვსკი, მარგალიტაძე, ტულუში, გაგუა, მალანია (ნარსია 46; ხურცილავა 69)
*სათადარიგონი:* ჩემია; თურქია
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**გაფრთხილება:** მარგალიტაძე (20), სოხელია (45), მალანია (45), ლაბაძე (62)

**მსაჯები:** ჟ. ბუიშვილი (ქიათურა); ლ. სილაგავა, კ. თბილელი; მ. მაისურაძე (სამივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე; **დირექტორი:** ზ. დარასელი

ჯარიმა: 14-18; კუთხური: 9-1; კარისკენ დარტყმა: 12-5; კარში დარტყმა: 6-0; თამაშგარე: 2-1

**კახა შალამბერიძე**

თბილისურმა „ლოკომოტივმა" ამ სეზონში ყველაზე მყვირალა გამარჯვება სწორედ „კოლხეთთან" იზეიმა: საგაზაფხულო ეტაპის პირველ ტურში 6:0 გაანადგურა ზღვისპირელები. იმ მატჩში პირველად გაიხარა გოლით „ლოკომოტივის" აფრიკელმა ფორვარდმა ნანა ეშუანმაც, რომელმაც, რაც ფოთში დუბლი „დატოვა", მას შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატში თავი არაფრით გამოუჩენია.

ამ ყველაფერს ლუის ცაკარიასის გუნდის წარუმატებლობათა სერია მოჰყვა და ბევრი პერუელის საქართველოდან წასვლაზეც ალაპარაკდა, თუმცა ამ ლაპარაკებს ბოლო წინა ტურში ქუთაისის „ტორპედოსთან" მატჩში მოეღო: რკინიგზელებმა 1:0 მოიგეს.

შაბათს კი „ლოკომოტივის" მეტოქე არაფრისთვის მებრძოლი ფოთის „კოლხეთი" იყო. მოგებასაც, ცხადია, მასპინძლებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ პირველი ტაიმის შემხედვარე ამას ვერ იტყოდი.

ზღვისპირელები მედგრად იდგნენ და ერთი-ორჯერ მწვავედაც უჩხვლიტეს თბილისელებს. ცაკარიასის შეგირდებს შეეძლოთ, პირველ 45 წუთში ეხეირათ, მაგრამ ლაშა სალუქვაძემ და მიხეილ სოხელიამ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. ერთხელ კოლხთა ეულმა თავდამსხმელმა თემურ მალანიამაც გაისროლა სახიფათოდ, თუმც არაზუსტად.

საკმაოდ აქტიური იყო პერუელი ნახევარმცველი რაიან სალასარიც. სუსტი აღნაგობის სალასარმა თამაშის გამწვავებაც შეძლო, მაგრამ ერთი დიდი და ქართველთათვის არცთუ უცხო ნაკლი აქვს — ბურთთან განშორება ძალიან უჭირს, რის გამოც ორი-სამი საგოლე შანსი გააცუდა. არადა, შესაძლო იყო, ამ მომენტების გამოუყენებლობა სანანებელიც გახდომოდათ მასპინძლებს...

„ლოკომოტივის" უპირატესობა მეორე ტაიმში უფრო გამოიკვეთა. რკინიგზელები შედარებით მეტს მოძრაობდნენ და მეტოქის კარისკენაც ხშირად ურტყამდნენ. ყველაზე რეალური საგოლე შანსი ისევ სოხელიას მიეცა — 66-ე წუთზე რკინიგზელთა გამთამაშებელი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ავთანდილ ლაბაძემ ბურთის კუთხურზე მოგერიება შეძლო.

ლაბაძე კიდევ ერთი, ოღონდ ამჯერად კურიოზული ეპიზოდის გმირიც გახდა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა „ლოკომოტივის" ერთ-ერთი შეტევა არაზუსტი დარტყმით დასრულდა. მსაჯმა ბუიშვილმაც ჩასტვინა და მეკარეს გასძახა, „ატ ვაროტ" დაარტყიო. კოლხთა კარის დარაჯმა მას ყური არ ათხოვა და ბურთი საპენალტე ნიშნულთან დადო, აქაოდა, თამაშგარე იყოო. ეს კი ბუიშვილმა დროის გაყვანად ჩათვალა და ლაბაძეს ყვითელი ბარათი აუფრიალა, ხომ გითხარი, „ატ ვაროტ" დაარტყიო. მსაჯსა და მეკარეს შორის მომხდარმა გაუგებრობამ „კოლხეთის" ფეხბურთელთა პროტესტი გამოიწვია. ერთმა მათგანმა კი საკმაოდ საფუძვლიანი გასამართლებელი საბუთი იპოვა, მსაჯს უთხრა, შენ დააბნიე მეკარე, რუსული არ იცის და „ატ ვაროტ"-ს რატომ ეუბნები, ქართულად უთხარიო.

71-ე წუთზე კი დავით სირაძის შორეულ კუთხეში ძლიერად დარტყმული ლაბაძისთვის აულებელი გამოდგა და „ლოკომოტივმაც" გაიხარა.

ბოლო წუთზე კი სოხელიამ ნანა გაიყვანა მეკარესთან პირისპირ და განელსაც ანგარიშის გაორმაგება არ გასჭირვებია.


ნანამ კიდევ ერთი ქართული გოლი მიითვალა


ლუის ცაკარიასი

## საქართველოს პირველი ლიგა ჩემპიონატი მეორე წრე — 25 ტური

**ქობულეთი 2 2:1 გურია**

**მერცხალი 6:0 ალაზანი**

**ხობი 2:1 ჭაბუკთა ნაკრები**

**ივერია 0:0 ცხინვალი**

**სამგურალი 4:2 სამტრედია**

**მცხეთა 2:0 სპარტაკი**

**ლოკომოტივი 2 2:1 თსუ**

**დინამო 2 — ლაზიკა**
*19 მაისს ჩატარდება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 24 | 16 | 7 | 1 | 52:19 | 55 |
| მერცხალი | 25 | 15 | 7 | 3 | 49:20 | 52 |
| მცხეთა | 25 | 13 | 7 | 5 | 38:20 | 46 |
| ცხინვალი | 25 | 12 | 6 | 7 | 33:22 | 42 |
| სპარტაკი | 25 | 12 | 4 | 9 | 39:26 | 40 |
| სამგურალი | 25 | 11 | 7 | 7 | 33:24 | 40 |
| დინამო 2 | 23 | 11 | 5 | 7 | 32:23 | 38 |
| ქობულეთი | 25 | 10 | 5 | 10 | 17:22 | 35 |
| თსუ | 25 | 9 | 7 | 9 | 21:24 | 34 |
| ივერია | 25 | 9 | 6 | 10 | 33:33 | 33 |
| ლოკომოტივი 2 | 25 | 8 | 9 | 8 | 26:22 | 33 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 25 | 8 | 4 | 13 | 36:39 | 28 |
| გურია | 25 | 7 | 6 | 12 | 27:39 | 27 |
| ალაზანი | 24 | 4 | 5 | 15 | 26:59 | 17 |
| ხობი | 25 | 4 | 5 | 16 | 13:37 | 17 |
| სამტრედია | 25 | 3 | 2 | 20 | 23:69 | 11 |

# ტორპედომ დინამოს ქულები დაუკარგა, შუშაკს ფერი

## მატყუარა შეტევა იონას გოლებით ისჯება



ალექსანდრ შტელინი



ივო შუშაკი



ზურაბ იონანიძე

**კობა ინასარიძე**

**ივო შუშაკის** გაწვრთნილი „დინამო" შინ მეორედ დამარცხდა, ერთბაშად ორი გოლი კი ხორვატის შეგირდებმა პირველად მიიღეს. „ტორპედომდე" „დინამოს" „ეროვნულზე" „ვიტ ჯორჯიასთან" მეთხუთმეტე ტურში წააგო, ორი გოლი ქუთაისელებამდე თბილისელებს „გორდამ" რუსთავში მეჩვიდმეტე ტურში გაუტანა. საერთო ჯამში, შარშანდელი მარტიდან მოყოლებული, „დინამო" ჩემპიონატში მეხუთედ დამარცხდა. აქედან ერთხელ წინა სეზონის ბოლო მატჩში, ოთხჯერ ახლა, „ტორპედომ" კი მესამედ დაიდო შუშაკის ცოდვა.

დაკარგული ჩემპიონის ტიტულისკენ დიდი ნაბიჯებით მავალი „დინამო" შაბათს ზურაბ იონანიძის ორმა ჩინებულმა გოლმა შეაჩერა, „ვიტ ჯორჯიას" ქულებით გაუთანაბრა და კითხვა — ვინ გახდება ჩემპიონი — კვლავაც კითხვად დატოვა. „დინამოს" მომავალ ტურში, კვირას, ურთულესი მატჩი ელის, ალბათ საჩემპიონო — შუშაკი და მისი გუნდი სწორედ „ვიტ ჯორჯიას" ესტუმრებიან.

ქუთაისელებმა შაბათის სამი ქულით ვიტელებს საქმე ხომ გაუკეთეს და სატურნირო მდგომარეობაც საგრძნობლად გამოისწორეს. პირველ ადგილზე მყოფთან ოთხი ქულით ჩამორჩენა ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე ბევრსაც არაფერს ნიშნავს. რაც მთავარია, „ტორპედომ" ასეთ თუ გააგრძელა, ვეჭვობთ, საჩემპიონო ბრძოლას ჩამოშორდეს.

პრესკონფერენციაზე ივო შუშაკმა კი თქვა ოთხშაბათის სანაკრებო შეხვედრას „დინამოს" ფეხბურთელებზე არ უმოქმედიაო, მაგრამ, ვფიქრობთ, თბილისელთა სუსტი თამაშის ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოს. ხიზანეიშვილი, ბურდული, კვირკველია აშკარად გადაღლილნი ჩანდნენ, ალექსიძეს ჩვეული აგრესიულობა აკლდა, დარასელია ინერტულად გამოიყურებოდა. ნახევარი გუნდი უკვე ჩამოვთვალეთ და არც დანარჩენებს უთამაშიათ ამათზე ბევრად უკეთ. მოკლედ ვთქვათ: შუშაკის დამოძღვრილ „დინამოს" ასე სუსტად ჯერ არ უთამაშია და ის ანგარიში, რითაც „ტორპედო" თავს მოიწონებს, სავსებით ლოგიკურია. „ტორპედოს" შაბათს ვარსკვლავები ნამდვილად არ მოუწყვეტია, მაგრამ რაც ითამაშა, სამი ქულისთვის საკმარისი გამოდგა. ვარსკვლავები არა და, ნერვები კი ორივე მწვრთნელს დააწყდა — შტელინი ერთი-ორჯერ კინაღამ მსაჯს შეუვარდა მოედანზე, რაც ბოლოს მისი ტრიბუნაზე „ამძანებით" დასრულდა, შუშაკს კი ნამატჩევს ქულებთან ერთად ფერიც დაჰკარგვოდა.

პირველ ტაიმში აღსანიშნი არაფერი ყოფილა. „ტორპედო" ფრთხილობდა, შეტევას ერიდებოდა. „დინამო" ბურთს აკონტროლებდა, ცდილობდა, ჭანტურიას კარს მიახლოებოდა, თუმცა რაც ალექსიძეს აკლდა — აგრესიულობა — იგივე აკლდა გუნდსაც. მოსაწყენი გამოდგა მატჩი შესვენებამდე და აქა-იქ შტელინის ემოციური გამოხდომები თუ იქცევდა ყურადღებას.

თამაშის განახლება და იონანიძის გოლი ერთი იყო. „დინამომ" ბურთი ცენტრთან დაკარგა და „ტორპედომ" უმალ შეუტია. ზირაქიშვილმა იონანიძეს მცველებს შუა გამოზომილი პასი მისცა, გვარამაძემ მის შესახვედრად კარი დატოვა, მაგრამ ქუთაისელმა მეგოლემ ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობის გარეშე ბურთს ჭვინტი აჰკრა და შორეულ კუთხეში შეაგდო.

„დინამოს" გოლამდე უჭირდა ხეირიანი შეტევის ორგანიზება და დაწინაურებულ სტუმრებს მით უფრო ვერაფერი მოუხერხა. თბილისელები ცდილობდნენ, შესამჩნევად გააქტიურდნენ. შუშაკმა ზედიზედ სამი მოთამაშე შეცვალა, მაგრამ რაც გამოუვიდა, ანგარიშიდან ჩანს. „დინამო" მეტოქეს რეალურად სულ ერთხელ დაემუქრა — ახალაიას თავური კარს გადასცდა. ეს იყო და „ტორპედომ" მეორე საგოლე შეტევა წამოიწყო. ბურთი ერთი-ორი წუთი „დინამოს" საჯარიმოსთან დაგორავდა, ფლანგიდან — ფლანგზე, ბოლოს იონანიძემ დაახლოებით 20 მეტრიდან გაისროლა, გვარამაძე უძლური იყო. მატჩიც აქ დამთავრდა. „დინამო" წაგებას შეეგუა და თავი მაინცდამაინც არ გამოუდვია. აქამდე კი თავისი სკამი „ტორპედოს" მწვრთნელ ალექსანდრ შტელინს დაატოვებინეს. არბიტრთან საქმის გასარჩევად წამომხტარ შტელინს მესხმა ტრიბუნისკენ მიუთითა. ტრიბუნიდანვე შტელინი მატჩის ბოლომდე გუნდს სატელეფონო ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდა მერე კი პრესკონფერენციაზე გამოცხადდა.

— ძალიან გახარებული ვარ. ბოლო ხანს სტაბილური თამაშით ვერ დავიტრაბახებდით, თუმცა „დინამოსთან" მატჩისთვის კარგად მოვემზადეთ და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. დიდი მადლობა ფეხბურთელებს ჩინებული თამაშისთვის, თავდადებისთვის. კარგი იქნება, ჩემპიონატში სულ დინამოსნაირი მეტოქენი გვყავდეს. ეს ჩვენ კონკრეტული მატჩისთვის მობილიზაციას გაგვიიოლებს. ვისურვებდი, რომ მსაჯობა უფრო ობიექტური იყოს. ხიზანეიშვილმა წაქცეულ იონანიძეს ფეხი ჩაარტყა. მსაჯმა მხოლოდ ჯარიმა დანიშნა, რამაც აღმაშფოთა, მეტოქე ყვითელი ბარათის ღირსი იყო, რაც მისთვის მეორე იქნებოდა და მოედანს დაატოვებინებდა. წამოვხტი და მსაჯს სამართლიანობისკენ მოვუწოდე, მან კი შენიშვნისთვის გამაძევა.

*ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:*

— ვულოცავ „ტორპედოს" მოგებას. დღეს ჩვენ საჩემპიონო დონეზე ვერ ვითამაშეთ. მატჩის წინ ბიჭებს ვუთხარი, „ტორპედოს" დამარცხებით ჩემპიონობის შანსი ერთი-ორად გაგვეზრდებამეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ. არ ვფიქრობ, რომ დღევანდელ მატჩზე სანაკრებო წვრთნებამ იმოქმედა. რუსეთთან ოთხშაბათს ვითამაშეთ და სამი დღე დასასვენებლად საკმარისი უნდა ყოფილიყო. ეს მარცხი შოკია გუნდისთვის, თუმცა ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს უნდა შეეძლოს მდგომარეობიდან მალე გამოსვლა და ფსიქოლოგიური განწყობის გაუმჯობესება. ასეც იქნება, ჩვენ ეს შევძლებთ. წინ კიდევ 12 ქულაა გასათამაშებელი, ოთხი ტურია სათამაშო. დღეს „დინამოს" მატყუარა უპირატესობა ჰქონდა, ნახევარმომენტი საგოლე მომენტს არ ნიშნავს. არ გამოგვივიდა სწრაფი თამაში, სტუმრებმა კი ჩვენი მოდუნება კარგად გამოიყენეს.

თბილისი. 3 მაისი. 18 საათი. ეროვნული. 1 000 (ტევადობა 70 900)

### დინამო 0:2 ტორპედო

0:1, 0:2 იონანიძე (46,82)

**დინამო:** გვარამაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი, კვირკველია (ბობოხიძე 73), გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, ბურდული (ახალაია 60), დარასელია (66), ალექსიძე
სათადარიგონი: ზოიძე, ყაშაკიძე, კანდელაკი, იასაშვარაძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**ტორპედო:** ჭანტურია, ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე, იონანიძე, პოროშინი, გამეზარდაშვილი, ზირაქიშვილი (ზ.ქუთათელაძე 68), ჩხეტიანი (ფლენტი 90)
სათადარიგონი: სტურუა, გეგია, ქელიშვილი, ახალკაცი
**მწვრთნელი:** ალექსანდრ შტელინი

**გაფრთხილება:** ხიზანეიშვილი (47), ზირაქიშვილი (54), ალექსიძე (72)

**გაძევება:** შტელინი (

**მსაჯები:** ჯ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. [illegible] (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 23-16; კუთხური: 11-2; კარისკენ დარტყმა: 7-3; კარში დარტყმა: 1-2; თამაშგარე: 1-3

**ბომბარდირები**

19 - მელქაძე, იონანიძე — *ვიტ ჯორჯია, ტორპედო*
14 - დარასელია — *დინამო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 38 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 38 |
| ლოკომოტივი | 6 | 3 | 0 | 3 | 10:6 | 34 |
| ტორპედო | 6 | 2 | 2 | 2 | 4:3 | 34 |
| სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 22 |
| კოლხეთი | 6 | 0 | 3 | 3 | 0:11 | 18 |



რატი ალექსიძე ქუთაისელმა მცველებმა ალყაში მოაქციეს

# ჟორდანია თბომავლით ისეირნებს

## ჩოლარია შვეიცარიაში ფულზე მიდის, გერმანიაში სავაჭროდ



მერაბ ჟორდანია



ვალერი ჩოლარია

**კვირას** სფფ-ის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დარბაზის ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩს დაესწრო, გუშინ კი პორტუგალიაში გაემგზავრა. ეს ქვეყანა ჩვიდმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს მასპინძლობს. უეფას გადაწყვეტილებით, ჟორდანია ჩემპიონატის მატჩებს უდირექტორებს.

მატჩების დირექტორობის მცირე პრაქტიკა ჟორდანიას აქვს. გეხსომებათ, პრეზიდენტმა ეს მოვალეობა ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის რუსთავულ მატჩში შეასრულა.

გადირექტორებული პრეზიდენტი პორტუგალიიდან უკრაინაში გაემგზავრება. კიევში დიდი სამზადისია, უკრაინელები ვალერი ლობანოვსკის სახელობის პირველ საერთაშორისო ტურნირს აწყობენ. ოთხგუნდა გათამაშებაში რუსეთის და უკრაინის ჩემპიონ-ვიცე-ჩემპიონები ითამაშებენ. კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე ვალერი ლობანოვსკის ხუთტონიანი ქანდაკება უნდა გახსნან. მერაბ ჟორდანია ამ საზეიმო ცერემონიალში მიიღებს მონაწილეობს. სხვათა შორის, სფფ-ის პრეზიდენტს მდინარე დნეპრზე თბომავლით გასეირნებაც მოუწევს — საპატიო სტუმართათვის ერთგვარი ექსკურსიაა დაგეგმილი. ჟორდანია კონჩა-ზასპას საწვრთნელ კომპლექსსაც მოინახულებს. უკრაინაში პერსონალურად მიიწვიეს სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცი ანატოლი მილჩენკოც.

უცხოეთში გაემგზავრა ვალერი ჩოლარიაც. სფფ-ის გენერალური მდივანი შვეიცარიაში საქმიანი ვიზიტით ჩავიდა. იქ უეფას წევრთათვის მატერიალური დახმარების საკითხები უნდა განიხილონ. ჩოლარია იმედოვნებს, რომ ნიონში ქართულ ფედერაციას სოლიდურ დახმარებას გაუწევენ.

შვეიცარიიდან ჩოლარია გერმანიაში გადავა და იქიდან თბილისში დილმის ბაზისთვის საჭირო ინვენტარს გამოაგზავნის.

**პაატა ძვანტალიანი**

# კობიაშვილმა ფრაიბურგი აბაირამა

**სასწაული** თუ არ მოხდა, „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში ალზევდება. ქართველებით გაძლიერებული ფოლკერ ფინკეს საწყისო „კიოლნს“ დაეჯახა და 3:0 გაანადგურა. „ფრაიბურგის“ გამარჯვებაში ლომის წილი სწორედ ჩვენებურებმა დაიდეს. ლევან კობიაშვილმა მხოლოდ საწყისი 26 წუთი ითამაშა და ამ დროში ორჯერ საგოლე პასი გადააწოდა ზლატან ბაირამოვიჩს. მერე კობიაშვილს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და ფოლკერ ფინკემაც აღარ გარისკა.

შეხვედრას წერტილი ალექსანდრე იაშვილმა დაუსვა — 68-ე წუთზე მესამედ აილო „თხების“ კარი. მარცხის მიუხედავად, არჩილ არველაძის „კიოლნმა“ ბუნდესლიგის საგზური გაინაღდა. „ფრაიბურგს“ კი ერთი მოგება, ალბათ, კიდევ დასჭირდება „კიოლნის ბედის გასაზიარებლად.

ამ მიზნისკენ მიიწევს გიორგი დეკანოსიძის „ფიურტიც“. ეუგენ ჰახის გუნდმა ამ ტურში „ტრირსაც“ მოუგო 2:1 და საკმაოდ მიუახლოვდა საპრიზო სამეულს.

გერმანიაზე ერთიც ვთქვათ — მომავალ სეზონში მეორე ბუნდესლიგას, ალბათ, ერთი ქართველიც დააჭაშნიკებს. მიხეილ საჯაიას „უნტერჰახინგმა“ 1:0 მოუგო „აუგსბურგს“ და ჯერაც პირველ ადგილზეა სამხრეთ რეგიონალლიგაში.

ინგლისში გიორგი ქინქლაძე დაბრუნდა, თუმც ბევრი ვერაფრით შეეწია „დერბი ქაუნთის“. დერბელებმა 1:4 წააგეს „იფსვიჩთან“ და მეთვრამეტე ადგილამდე დაქვეითდნენ. ქინქლაძემ სრულად ითამაშა.

შოტლანდიაში „ქართული დერბი“ მშვიდობით დასრულდა. თუმც ამ „მშვიდობამ“ „რეინჯერსს“ საომრად გაუხადა საქმე. „ჩაფრებს“ „სელტიკთან“ მოპოვებული რამდენიმექულიანი უპირატესობა ბოლო სამ ტურში თვალსა და ხელს შუა გაუქრა. ზურაბ ხიზანიშვილმა და გიორგი ნემსაძემ საკმაოდ იაქტიურეს, შოთა არველაძე კი 67-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

რუსეთში კვლავ მოიგო ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიამ“. აშვეთია-მენთეშაშვილის დუეტი ბევრს კი აქტიურობდა, მაგრამ გოლის გატანა ვერც ამჯერად შეძლო. ვალერი აბრამიძის „სპარტაკი“ კი „ტორპედოსთან“ შერცხვა. ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა, თუმც რუსი ჟურნალისტებისგან საკმაოდ დაბალი შეფასება მიიღო. დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატში კი ჩერნომორეცელი კლიმენტი წიტაიშვილი და ტორპედოელი დავით ნაკანი გამოირჩნენ.

თურქეთში გადავინაცვლოთ — „ქოჯაელისფორის“ გავარდნას ბევრი მკითხაობა აღარ სჭირდება. იზმითელებმა „მალათიასთან“ დაყარეს ფარ-ხმალი და, ფაქტობრივად, დაკარგეს სუპერლიგაში დარჩენის შანსიც. ჩვენებურთაგან მოედანზე მხოლოდ გივი დიდავა გამოჩნდა და ისიც მე-60 წუთზე შევიდა შეცვლაზე.

„დებრეცენმა“ და „ფერენცვაროშმა“ უნგრეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში თასის ფინალი „გაითამაშეს“. სწორედ ეს გუნდები არიან ქვეყნის თასის ფინალისტები. მანამდე კი კახა ჩხეტიანის „დებრეცენი“ შინ 1:1 ეთამაშა ტიტულიან მეტოქეს. ჩვენებური პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

კიდევ ერთი გოლი გაიტანა კვიპროსზე ლევან ქებაძემ. „პარალიმნიმ“ 5:1 მოუგო აუტსაიდერ „ალკის“. ქართველმა თავდამსხმელმა გოლის გარდა საგოლე პასითაც გამოიჩინა თავი.

**კახა ზალამბერიძე**

# რეინჯერსის მერე რეინჯესია
## ნემსაძეს და ხიზანიშვილს თასი და ირლანდია სურთ

**შოტლანდიელი** ქართველები წინა უქმეებზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

— ნემსაძისა და ხიზანიშვილის „დანდიმ“ არველაძის „რეინჯერსს“ უმასპინძლა და, ბევრის გასაკვირად, ფრეს გამორჩა. ეს გუნდები 31 მაისს შოტლანდიის თასის ფინალშიც მეტოქენი იქნებიან და შაბათის შეხვედრა ამდაც იყო საინტერესო.

ზურაბ ხიზანიშვილმა შეუცვლელად ითამაშა და, ჩვენი შოტლანდიელი კოლეგების თქმით, ქართველმა მცველმა „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ მოაწონა თავი. სეზონის ბოლოს ზურას „რეინჯერსში“ ტრანსფერს ამ მატჩის შემდეგ მხოლოდ სასწაული თუ ჩაშლის. ხიზანიშვილი ახლაც ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილა. მეორე დანდელი, გიორგი ნემსაძე, მწვრთნელმა დროის მოგების მიზნით მატჩის მიწურულს შეცვალა, თუმც ქება არც მას დაჰკლებია.

— ფრე ლოგიკური შედეგი კი არის, მაგრამ მოგებაც შეგვეძლო, „რეინჯერსმა“ ანგარიში პენალტით გაგვითანაბრა — გვითხრა გიორგი ნემსაძემ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით — გოლამდე კი „რეინჯერსმა“ ორი პენალტი გააცუდა, მათგან ერთი შოთა არველაძის წაქცევისთვის დაინიშნა, მეორე კი მსაჯმა მოიგონა. ესეც რომ არა, სტუმრები ჩვენიანი მცველის ავტოგოლით დაწინაურდნენ. მან კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კარში ჩაჭრა. თუმც ყველაფრის მიუხედავად, „რეინჯერსთან“ ფრე კარგ შედეგად გვეთვლება და ახლა ცხრილში ერთი საფეხურით ანაცვლების შანსი გვაქვს. „დანფერმლაინს“ თუ მოვუგეთ, მეხუთე ადგილი ჩვენ დაგვრჩება. სეზონის ორი უმნიშვნელოვანესი თამაში კი მე და ზურა ხიზანიშვილს წინ გვაქვს — 31 მაისს ვეცდებით, „რეინჯერსს“ თასი მოვუგოთ, 11 ივნისს კი — ირლანდიას. ახლა სწორედ ამ მატჩებისთვის ვემზადებით. გვსურს, რუსეთის შემდეგ გახარებულ ქართველ ქომაგს ირლანდიაშიც დავანახოთ ჩვენი ძალაა.

**კობა ინასარიძე**



გიორგი ნემსაძეს რეინჯერსელებთან შეხვედრა თასის ფინალშიც ელის

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | კომო 2:0 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 25 | 0 | 3 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | კიოლნი 3:0 | 90 | 1 გოლი | 21 | 2 | 2 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | კიოლნი 3:0 | 26 | 2 საგოლე პასი, შეცვალეს | 26 | 9 | 2 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | კიოლნი 3:0 | 64 | შეცვლაზე ითამაშა | 27 | 2 | 2 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | კიოლნი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ფრაიბურგი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ტრირი 2:1 | 0 | | 2 | 0 | 5 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ესენი 0:1 | 90 | | 23 | 5 | 4 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | უნტერჰახინგი | შ | აუგსბურგი 1:0 | 0 | | 12 | 1 | 1 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | შ | იფსვიჩი 1:4 | 90 | | 28 | 4 | 18 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანდი 2:2 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 24 | 13 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | რეინჯერსი 2:2 | 89 | შეცვალეს | 19 | 0 | 7 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | რეინჯერსი 2:2 | 90 | | 12 | 0 | 7 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | შ | ალკმაარი 2:2 | 0 | | 8 | 1 | 1 |
| **ბელგია. მეორე დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | რუზელარე | ს | ლიეჟი 1:2 | 90 | | 22 | 0 | 17 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ზალცბურგი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 24 | 5 | 5 |
| **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | ვოლენი | ს | შაფჰაუზენი 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 3 | 4 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ცსკა 0:2 | 57 | შეცვალეს | 2 | 0 | 11 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | ს | ტორპედო 0:3 | 90 | | 2 | 0 | 14 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | ტორპედო 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 14 |
| მიხეილ აშვეთია | სპარტაკ-ალანია | შ | სატურნი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 0 | 5 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | შ | სატურნი 1:0 | 90 | | 5 | 0 | 5 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | შინიკი 2:2 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 9 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | შინიკი 2:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 9 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | ს | შინიკი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ჩერნომორეცი | ს | ტ. მეტალურგი 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | სპარტაკი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | შ | სპარტაკი 3:0 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 7 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | შ | ჩერნომორეცი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | ს | კრილია 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | შ | დინამო 1:5 | 0 | | 0 | 0 | 16 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | არსენალი 3:1 | 90 | 1 გოლი | 15 | 3 | 3 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | არსენალი 3:1 | 90 | 1 გოლი | 8 | 4 | 3 |
| რევაზ გოცირიძე | კრივბასი | ს | დინამო 0:1 | 63 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 3 | 0 | 10 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | ს | დინამო 0:1 | 90 | . | 15 | 0 | 10 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | დინამო 0:1 | 90 | | 5 | 0 | 10 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ალექსანდრია 3:1 | 70 | შეცვალეს | 22 | 7 | 7 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | ალექსანდრია 3:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 1 | 7 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | ალექსანდრია 3:1 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 7 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ობოლონი 2:0 | 0 | | 17 | 2 | 16 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | მ. დონეცკი 1:3 | 90 | | 22 | 13 | 4 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გია იმედაძე | ქოჯაელი | შ | მალათია 2:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 18 |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | მალათია 2:3 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 18 |
| რევაზ ქემოკლიძე | ქოჯაელი | შ | მალათია 2:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 0 | 18 |
| ზაზა ჯანაშია | ქოჯაელი | შ | მალათია 2:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 0 | 18 |
| **უნგრეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | დებრეცენი | შ | ფერენცვაროში 1:1 | 45 | შეცვალეს | 15 | 1 | 4 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | გარბარნია 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 1 | 8 |
| ლაშა რეხვიაშვილი | რუხი | ს | ლეხი 0:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 13 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | არისი 9:2 | 45 | შეცვალეს | 21 | 5 | 2 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | მორფუ 2:2 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 2 | 5 |
| მამუკა წერეთელი | ნეა სალამინა | ს | პაფოსი 3:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 20 | 0 | 12 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ალკი 5:1 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი | 11 | 5 | 9 |
| **ბელარუსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ბესიკ კოდალაევი | სლავია | შ | ნემანი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| ირაკლი კუჭავა | სლავია | შ | ნემანი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| ზურაბ აიანადი | სლავია | შ | ნემანი 1:0 | 60 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 1 | 0 | 12 |
| გიორგი ბერიანიძე | ლოკომოტივი | შ | ტორპედო სკა 0:1 | 0 | | 1 | 0 | 8 |
| ზაზა კვეკვესკირი | ლოკომოტივი | შ | ტორპედო სკა 0:1 | 0 | | 2 | 0 | 8 |
| გიორგი ფურცელაძე | ტორპედო სკა | ს | ლოკომოტივი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| დავით ჭილლაძე | ტორპედო სკა | ს | ლოკომოტივი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ბესიკ ჭილლაძე | ტორპედო სკა | ს | ლოკომოტივი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| სულიკო კაკაბაძე | ნაფტანი | შ | დნეპრ-ტრანსმაში 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 3 | 0 | 2 |
| **მალტა. პრიმერადივიზიონი. პლეი აუტი** | | | | | | | | |
| გრიგოლ გვაზავა | ფლორიანა | შ | მარსა 5:1 | 65 | შეცვალეს | 17 | 5 | 2 |
| კახა ახალაძე | ფლორიანა | შ | მარსა 5:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 2 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ისევ ის ბიჭი ვარ


REUTERS ლონდონიდან



REUTERS მანჩესტერიდან

რამაც არსენ ვენგერი დაალონა, ალექს ფერგიუსონისთვის შამპანურის გახსნის მიზეზი გახდა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXVII ტური

**მანჩესტერი 4:1 ჩარლტონი**

1:0 ბექჰემი (11), 1:1 იენსენი (13), 2:1, 3:1, 4:1 ვან ნისტელროი (32, 37, 53)
მანჩესტერი: კეროლი, ოში, უესლი ბრაუნი, რ. ფერდინანდი, სილვესტრი, ბექჰემი, როი კინი, სქოულზი (ვერონი 69), გიგზი (ბათი 77), ვან ნისტელროი, სოლსკიაერი (ფორლანი 77)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ჩარლტონი: დ. კელი, კიშიშევი (სანკოფა 73), იანგი, ფორტუნი, კ. პაუელი, ლისბი (ჯ. იოჰანსონი 84), კ. იენსენი, პარკერი, კონჩესკი, ბარტლეტი, იუელი (ბარტ-უილიამსი 78)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ფორტუნი
მსაჯი: ჰალსი
67 721 მაყურებელი

**არსენალი 2:3 ლიდსი**

0:1 კიუელი (5), 1:1 ანრი (31), 1:2 ჰარტი (48), 2:2 ბერხკამპი (63), 2:3 ვიდუკა (88)
არსენალი: სიმენი, კ. ტურე (კანუ 70), ლუჟნი, კიოუნი, ეშლი კოული, ვილტორდი (პენანტი 76), პარლოუ, ჟილბერტო სილვა, პირესი (ვან ბრონკჰორსტი 80), ბერხკამპი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, დაბერი, რადებე, ჰარტი, გ. კელი, მატეო, ბაკე, უილკოქსი, ვიდუკა, კიუელი (საიმონ ჯონსონი 80)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ბერხკამპი, კიოუნი, ვიდუკა
მსაჯი: ვაილი
38 127 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:0 ბირმინგემი**

1:0 ვიანა (42)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, კოლდუელი, ვუდგეიტი, ბერნარი, სოლანო (კერი 81), დაიერი, ჯენასი, ვიანა (რობერი 86), ბელამი, ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ბირმინგემი: ბენეტი, კენა (მაიკლ ჯონსონი 46), პარსი, აპსონი, კლეპამი, დ. ჯონსონი, სევიჯი (ლაზარიდისი 72), კლემენსი, მ. ჰიუზი, ჰორსფილდი, დიუგარი (ჯონი 81)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: დიუგარი, ჰიუზი
გაძევება: აპსონი (41)
მსაჯი: ელერეი
52 146 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:0 ჩელსი**

1:0 დი კანიო (71)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, მარკ ჯონსონი, რეეპკა, დეილი, ბრევეტი, ლომასი, ჯ. კოული, ტ. სინკლერი, კანო, ლ. ფერდინანდი (დი კანიო 56), დეფო
მწვრთნელი: ტრევორ ბრუკინგი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, დესაი, ბაბაიარო, ჯ. მორისი (ზენდენი 77), ე. პეტი, ლამპარდი, ლე სო, გუდიონსენი (ჰასელბაინკი 72), ძოლა (კ. კოული 72)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: სინკლერი, დეფო, რეეპკა, მორისი
მსაჯი: დურსო
35 042 მაყურებელი

**ლივერპული 1:2 სიტი**

1:0 ბაროში (59), 1:1, 1:2 ანელკა (74პ, 90)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ტრაორე, ჰიიპია, რიისე, დიუფი (ჰესკი 78), ჰამანი (შეირუ 78), ჯერარდი, დენი მერფი, ოუენი, ბაროში
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
სიტი: შმაიხელი, რ. დანი, სომეილი, დისტინი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბენარბია, ჰორლოკი, ნ. იენსენი, ანელკა, ფაულერი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ჰამანი, ჰესკი, ჰორლოკი, დანი
მსაჯი: ბერი
44 220 მაყურებელი

**ფულემი 2:0 ევერტონი**

1:0 სტაბსი (34ს.კ.), 2:0 რაიტი (43ს.კ.)
ფულემი: მაიკ ტეილორი, ფინანი, მელვილი, გომა, ჰარლი, კლარკი, ბოა მორტე, მალბრანკი (ჰეილსი 87), ლეგვინსკი, შ. დევისი, ჰემონდი (საჰა 69)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ევერტონი: რ. რაიტი, ჰაიბერტი (უოტსონი 63), სტაბსი, იობო, ანსუორთი, პემბრიჯი (პისტონე 63), გრავესენი, ჯემილი (დ. ფერგიუსონი 46), კარსლი, კ. კემპბელი, რუნი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: კლარკი, ჰაიბერტი
მსაჯი: ბარბერი
18 385 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:0 ბოლტონი**

საუთჰემპტონი: ნიემი, ტელფერი, მიხაელ სვენსონი, პ. უილიამსი (ტესემი 76), ბრიჯი, ფ. ფერნანდესი, ა. სვენსონი (ჰიგინბოთემი 76), ოკლი, მარსდენი (პრატონი 67), ორმეროდი, ბიტი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ბოლტონი: იასკელაინენი, რ. გარდნერი, ლავილი, მენდი (ანდრე 53), ბერგსონი, ნგოტი, ოკოჩა (ნოლანი 87), კამპო, ფრანდსენი, პედერსენი (სალვა 79), ჯორკაეფი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ფერნანდესი, უილიამსი, ორმეროდი, ჯორკაეფი, კამპო
მსაჯი: დოუდი
30 951 მაყურებელი

**მიდლსბრო 5:1 ტოტენჰემი**

1:0 კრისტი (23), 2:0 ჟუნინიო პაულისტა (26), 3:0 ნემეტი (28), 4:0 მაკარონე (51), 4:1 რედნაპი (60), 5:1 მაკარონე (75)
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, ემიოგუ (რიგოტი 11), საუთგეიტი, კედრუ, უილკშირი (დოუნინგი 78), ბოატენგი, ჟუნინიო პაულისტა, გრინინგი, ნემეტი, კრისტი (მაკარონე 46)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ტოტენჰემი: კელერი, პერი, კინგი, ე. გარდნერი, კარი, ს. დევისი, ბუნიევჩევიჩი, პოიეტი (რედნაპი 46), ტარიკო, შერინგემი (ეზერინგტონი 46), რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: პოიეტი, ბუნიევჩევიჩი
გაძევება: პერი (24)
მსაჯი: რენიე
30 230 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:0 სანდერლენდი**

1:0 ოლბოკი (80)
ასტონ ვილა: ენკელმანი, ჯ. სამუელი, მელბერგი, იონსენი, სტონტონი, ლეონარდსენი (გუდიონსონი 77), ლ. ჰენდრი (დაბლინი 74), ი. ტეილორი, ჰიცლსპერგერი (უიტინგემი 57), ოლბოკი, ვასელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
სანდერლენდი: პოომი, დ. უილიამსი, კრადოკი, ბიორკლუნდი, გრეი, ბლეკი (პროქტორი 85), გ. მაკკანი, ტორნტონი, კილბეინი, კაილი (ფლო 84), ფილიპსი
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
მსაჯი: დანი
39 963 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 დაფი (11), 1:1 კუმასი (54)
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, ტოდი, მარტინ ტეილორი, მაკიველი (ნ. იოჰანსონი 70), დ. დანი, ფლიტკროფტი (ჰინეტი 66), თუგაი, დაფი, ენდი კოული, ჰ. შუქერი (იორკი 60)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, უოლვორკი, გრეგანი, ჯ. ჩემბერსი, ლიტლი, მაკინსი, ე. ჯონსონი, კუმასი, კლემენტი, რობერტსი, დიჩიო (დობი 82)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ტოდი, კოული, ჯონსონი
მსაჯი: სტაილზი
27 470 მაყურებელი

კვირა საღამოს, „ჰაიბერიზე“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ოფიციალურად გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი — მერვედ თერთმეტ წელიწადში. „მანჩესტერი“ „ჰაიბერიზე“ არ თამაშობდა, იქ მისი მთავარი მეტოქე „არსენალი“ მასპინძლობდა პრემიერლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ „ლიდსს“, რომელსაც დროებითი მენეჯერი, პიტერ რიდი წვრთნის.

კვირა საღამომდე „მეთოფეები“ ორი თამაშითა და რვა ქულით ჩამორჩებოდნენ „მანჩესტერს“ და თუ ამ ორ თამაშს მოიგებდნენ, მოიგებდნენ ბოლო ტურშიც — „სანდერლენდთან“. „მანჩესტერს“ კი დარჩენილი ჰქონდა ერთადერთი და მძიმე სტუმრობა „ევერტონთან“.

„მანჩესტერმა“ შაბათს რუუდ ვან ნისტელროის ჰეთ თრიქით 4:1 მოუგო „ჩარლტონს“, ტაშისკვრით გამოეთხოვა „ოლდ ტრეფორდს“ და იმ თამაშში სანერვიულოდ მხოლოდ ის დაურჩა, რომ მეკარე როი კეროლმა წაუბარტყა და ბურთი პირდაპირ ფეხებში მიუგორა კლაუს იენსენს, რომელმაც გაიტანა კიდეც მანჩესტერელთა კარში ერთადერთი გოლი.

კვირას კი „არსენალმა“ წააგო. „ლიდსი“ ორჯერ უგებდა „მეთოფეებს“, ჯერ პირველ, მერე კი მეორე ტაიმში. „არსენალის“ დაცვის ცენტრში უხერხულად ტრიალებდნენ ოლეგ ლუჟნი და მარტინ კიოუნი, დისკვალიფიცირებული სოლ კემპბელი კი ტრიბუნაზე იჯდა.

ჰარი კიუელმა ლამაზი გოლი გაუტანა სიმენს, ტიერი ანრიმ კი მას შემდეგ გაათანაბრა, რაც პოლ რობინსონმა რეი პარლოუს შორეული დარტყმა მოიგერია. მეორე ტაიმში გარი კელიმ საჯარიმო დარტყმა ჩასვა, როგორც ამბობენ, ბურთი ეშლი კოულს წაეცაცუნა თავზე და ოდნავ შეიცვალა მიმართულება. ამას დენის ბერხკამპის გოლი მოჰყვა. ზოგადად „არსენალმა“ თავი დადო და ბურთი სამჯერ მარტო ძელს მოხვდა, მაგრამ ეს „არსენალი“ ის „არსენალი“ არ იყო, ყველაფერს რომ სრავდა თვეების განმავლობაში. შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთი რჩებოდა, როცა მარკ ვიდუკამ კლასიკური გოლი გაიტანა. თუმცა, ბურთის მიღებისას თამაშგარედან ამოსვლა ვერ მოასწრო, მაგრამ „არსენალისთვის“ წაგება და ფრე ერთი იყო. არსენ ვენგერის გუნდმა შარშან მოგებული ტიტული დაკარგა.

მოკლედ, „მანჩესტერი“ კვლავ ჩემპიონია, იმის მიუხედავად, რომ წლევანდელი პრემიერლიგის პირველ ცხრა ტურში მხოლოდ რვა ქულა ჰქონდა და ბოლო 13 წელიწადში ყველაზე უარეს ადგილზე იყო ცხრილში.

„ჩვენ არ ჩაგვიმუხლია — თქვა ფერგიუსონმა — კვირას საღამოს „ამიტომაც გავხდით ჩემპიონები“.

ამასობაში კი გუნდების უმრავლესობა კვლავ გაალმასებით ელის ბოლო ტურს. „ნიუკასლმა“ უკვე დაიბევა ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზური, მეოთხესთვის კი იბრძვიან „ლივერპული“ და „ჩელსი“. შაბათს ორივემ წააგო: „ლივერპული“ 93-ე წუთზე დაასამარა ნიკოლას ანელკამ, რომელსაც „ლივერპულმა“ შარშან ამ დროს კონტრაქტი არ გაუფორმა. ანელკამ ჯერ პენალტით გაათანაბრა „ენფილდზე“, მერე კი „სიტის“ საერთოდაც მოაგებინა. ამასობაში, დამარცხდა „ჩელსიც“, გადარჩენისთვის მებრძოლ „ვესტ ჰემთან“. ერთადერთი გოლი დაბრუნებულმა პაოლო დი კანიომ გაიტანა. ბოლო ტურში „ჩელსი“ „ლივერპულს“ მასპინძლობს და საგზურიც იქ გათამაშდება.

საერთოდ კი, დროებითი მენეჯერები მეტად ამართლებენ ამ გაზაფხულზე: მისტერ რიდი იგებს „ლიდსთან“ ერთად, ტრევორ ბრუკინგმაც, თავის „ჩაქუჩებთან“ ერთად და კვლავ მოიგო „ფულემის“ დროებითმა თავკაცმა კრის კოულმენმა, რომლის გუნდმაც „ევერტონს“ სძლია.

ბოლო ტურის წინ გადასაწყვეტი ისიც დარჩენილა, აჯობებს თუ ვერა „ვესტ ჰემი“ „ბოლტონს“, ამათ „ჰაიბერიზე“ მოგების შემდეგ საბოლოოდ დაუსხლტა „ლიდსი“. „ევერტონს“ კი „ბლექბერნი“ ეტოქება უეფას თასის საგზურისთვის.

ამასობაში — „მანჩესტერი“ ჩემპიონია, ტიტული „ოცნების თეატრში“ ბრუნდება.

**ირაკლი ბამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 37 | 24 | 8 | 5 | 72:33 | 39 | 80 | 19 | 16 | 2 | 1 | 42:12 | 30 | 50 | 18 | 8 | 6 | 4 | 30:21 | 9 | 30 |
| 2 არსენალი | 36 | 21 | 9 | 6 | 75:41 | 34 | 72 | 18 | 14 | 2 | 2 | 41:19 | 22 | 44 | 18 | 7 | 7 | 4 | 34:22 | 12 | 28 |
| 3 ნიუკასლი | 37 | 21 | 5 | 11 | 61:46 | 15 | 68 | 19 | 15 | 2 | 2 | 36:17 | 19 | 47 | 18 | 6 | 3 | 9 | 25:29 | -4 | 21 |
| 4 ჩელსი | 37 | 18 | 10 | 9 | 66:37 | 29 | 64 | 18 | 11 | 5 | 2 | 39:14 | 25 | 38 | 19 | 7 | 5 | 7 | 27:23 | 4 | 26 |
| 5 ლივერპული | 37 | 18 | 10 | 9 | 60:39 | 21 | 64 | 19 | 9 | 8 | 2 | 30:16 | 14 | 35 | 18 | 9 | 2 | 7 | 30:23 | 7 | 29 |
| 6 ევერტონი | 37 | 17 | 8 | 12 | 47:47 | 0 | 59 | 18 | 11 | 5 | 2 | 27:17 | 10 | 38 | 19 | 6 | 3 | 10 | 20:30 | -10 | 21 |
| 7 ბლექბერნი | 37 | 15 | 12 | 10 | 48:43 | 5 | 57 | 19 | 9 | 7 | 3 | 24:15 | 9 | 34 | 18 | 6 | 5 | 7 | 24:28 | -4 | 23 |
| 8 სიტი | 37 | 15 | 6 | 16 | 47:53 | -6 | 51 | 18 | 9 | 2 | 7 | 28:25 | 3 | 29 | 19 | 6 | 4 | 9 | 19:28 | -9 | 22 |
| 9 ტოტენჰემი | 37 | 14 | 8 | 15 | 51:58 | -7 | 50 | 18 | 9 | 4 | 5 | 30:25 | 5 | 31 | 19 | 5 | 4 | 10 | 21:33 | -12 | 19 |
| 10 მიდლსბრო | 37 | 13 | 10 | 14 | 47:42 | 5 | 49 | 19 | 10 | 7 | 2 | 36:21 | 15 | 37 | 18 | 3 | 3 | 12 | 11:21 | -10 | 12 |
| 11 საუთჰემპტონი | 36 | 12 | 13 | 11 | 41:40 | 1 | 49 | 19 | 9 | 8 | 2 | 25:16 | 9 | 35 | 17 | 3 | 5 | 9 | 16:24 | -8 | 14 |
| 12 ჩარლტონი | 37 | 14 | 7 | 16 | 45:55 | -10 | 49 | 18 | 8 | 3 | 7 | 26:29 | -3 | 27 | 19 | 6 | 4 | 9 | 19:26 | -7 | 22 |
| 13 ბირმინგემი | 37 | 13 | 8 | 16 | 39:46 | -7 | 47 | 18 | 8 | 4 | 6 | 23:21 | 2 | 28 | 19 | 5 | 4 | 10 | 16:25 | -9 | 19 |
| 14 ასტონ ვილა | 37 | 12 | 9 | 16 | 41:44 | -3 | 45 | 19 | 11 | 2 | 6 | 25:14 | 11 | 35 | 18 | 1 | 7 | 10 | 16:30 | -14 | 10 |
| 15 ფულემი | 37 | 12 | 9 | 16 | 40:50 | -10 | 45 | 19 | 11 | 3 | 5 | 26:18 | 8 | 36 | 18 | 1 | 6 | 11 | 14:32 | -18 | 9 |
| 16 ლიდსი | 37 | 13 | 5 | 19 | 55:56 | -1 | 44 | 18 | 6 | 3 | 9 | 22:25 | -3 | 21 | 19 | 7 | 2 | 10 | 33:31 | 2 | 23 |
| 17 ბოლტონი | 37 | 9 | 14 | 14 | 38:50 | -12 | 41 | 18 | 6 | 8 | 4 | 24:23 | 1 | 26 | 19 | 3 | 6 | 10 | 14:27 | -13 | 15 |
| 18 ვესტ ჰემი | 37 | 10 | 11 | 16 | 40:57 | -17 | 41 | 19 | 5 | 7 | 7 | 21:24 | -3 | 22 | 18 | 5 | 4 | 9 | 19:33 | -14 | 19 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 37 | 6 | 7 | 24 | 27:63 | -36 | 25 | 18 | 3 | 4 | 11 | 15:32 | -17 | 13 | 19 | 3 | 3 | 13 | 12:31 | -19 | 12 |
| 20 სანდერლენდი | 37 | 4 | 7 | 26 | 21:61 | -40 | 19 | 18 | 3 | 2 | 13 | 11:27 | -16 | 11 | 19 | 1 | 5 | 13 | 10:34 | -24 | 8 |

**ხვალ გადადებული მატჩი**

არსენალი — საუთჰემპტონი

**XXXVIII ტური**

11 მაისი

ბირმინგემი — ვესტ ჰემი
ვესტ ბრომვიჩი — ნიუკასლი
ბოლტონი — მიდლსბრო
ჩარლტონი — ფულემი
ჩელსი — ლივერპული
ევერტონი — მანჩესტერი
ლიდსი — ასტონ ვილა
სიტი — საუთჰემპტონი
სანდერლენდი — არსენალი
ტოტენჰემი — ბლექბერნი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 24 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 23 |
| ანრი (არსენალი) | 23 |
| ოუენი (ლივერპული) | 19 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 19 |
| შირერი (ნიუკასლი) | 17 |

## პირველი დივიზიონი

### XLVI ტური

**დერბი ქაუნთი 1:4 იფსვიჩი**

1:0 ლი (22), 1:1 კუნაგო (32), 1:2 დ. ბენტი (37), 1:3 მეჯილტონი (41), 1:4 ჰოლანდი (90)
დერბი ქაუნთი: ოუქსი, უ. ბარტონი (ევატი 15; ბოლდერი 56), მილსი, რიჩი, ჯექსონი, ლი, ძინძლაძე, ბარლი, ბოერტიენი, მური, რავანელი (მაკლეოდი 74)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
28 785 მაყურებელი

**ბრედფორდი 0:5 პორტსმუთი**

0:1 ფესტა (20), 0:2, 0:3, 0:4 ტოდოროვი (48, 50, 58პ), 0:5 სტოუნი (67)

**ჯილინგემი 2:1 კრისტალ პალასი**

1:0, 2:0 ნოსვორთი (3, 5), 2:1 ფრიდმანი (30პ)

**გრ[illegible]ესბი 2:2 ბრაიტონი**

1:0 კინ[illegible] 1:1 ზამორა (45პ), 1:2 კულიპი (47), [illegible]ბიუზი (60)

**მილუოლი 2:0 ქოვენთრი**

1:0 კრეიგი (51), 2:0 ჩემბლი (54)

**ნორვიჩი 2:0 პრესტონი**

1:0 მირსი (46), 2:0 მალრინი (63)

**როტერჰემი 2:2 ნოტინგემი**

1:0 ლი (55), 1:1 ლესტერი (63), 1:2 ვესტკარი (66), 2:2 რობინსი (69)

**შეფილდ უენსდი 2:1 უოლსოლი**

0:1 მატიასი (56), 1:1 ოუენი (66), 2:1 ა. ქუინი (76)

**სტოკი 1:0 რედინგი**

1:0 აკინბაი (55)

**უოტფორდი 2:0 შეფილდ იუნ.**

1:0 კოქსი (64), 2:0 ფიცჯერალდი (79)

**უიმბლდონი 2:1 ბარნლი**

0:1 ტეილორი (27), 1:1, 2:1 კონოლი (55, 81)

**ვულვერჰემპტონი 1:1 ლესტერი**

1:0 მილერი (57), 1:1 ბენჯამინი (86პ)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 46 | 29 | 11 | 6 | 97:45 | 98 |
| ლესტერი | 46 | 26 | 14 | 6 | 73:40 | 92 |
| შეფილდი | 46 | 23 | 11 | 12 | 72:52 | 80 |
| რედინგი | 46 | 25 | 4 | 17 | 61:46 | 79 |
| ვულვზი | 46 | 20 | 16 | 10 | 81:44 | 76 |
| ნოტინგემი | 46 | 20 | 14 | 12 | 82:50 | 74 |
| იფსვიჩი | 46 | 19 | 13 | 14 | 80:64 | 70 |
| ნორვიჩი | 46 | 19 | 12 | 15 | 60:49 | 69 |
| მილუოლი | 46 | 19 | 9 | 18 | 59:69 | 66 |
| უიმბლდონი | 46 | 18 | 11 | 17 | 76:73 | 65 |
| ჯილინგემი | 46 | 16 | 14 | 16 | 56:65 | 62 |
| პრესტონი | 46 | 16 | 13 | 17 | 6870 | 61 |
| უოტფორდი | 46 | 17 | 9 | 20 | 54:70 | 60 |
| კრ. პალასი | 46 | 14 | 17 | 15 | 59:52 | 59 |
| როტერჰემი | 46 | 15 | 14 | 17 | 62:62 | 59 |
| ბარნლი | 46 | 15 | 10 | 21 | 65:89 | 55 |
| უოლსოლი | 46 | 15 | 9 | 22 | 57:69 | 54 |
| დერბი | 46 | 15 | 7 | 24 | 55:74 | 52 |
| ბრედფორდი | 46 | 14 | 10 | 22 | 51:73 | 52 |
| ქოვენთრი | 46 | 12 | 14 | 20 | 46:62 | 50 |
| სტოკი | 46 | 12 | 14 | 20 | 45:69 | 50 |
| უენსდი | 46 | 10 | 16 | 20 | 56:73 | 46 |
| ბრაიტონი | 46 | 11 | 12 | 23 | 49:67 | 45 |
| გრიმსბი | 46 | 9 | 12 | 25 | 4885 | 39 |

**I დივიზიონი. პლეი ოფი**

10 მაისი

ნოტინგემი — შეფილდ იუნ.
ვულვერჰემპტონი — რედინგი

14 მაისი

რედინგი — ვულვერჰემპტონი

15 მაისი

შეფილდ იუნ. — ნოტინგემი

**II დივიზიონი. პლეი ოფი**

10 მაისი

კარდიფი — ბრისტოლი
ოლდემი — ქუინზ პარკი

13 მაისი

ბრისტოლი — კარდიფი

14 მაისი

ქუინზ პარკი — ოლდემი

**III დივიზიონი. პლეი ოფი**

10 მაისი

ბერი — ბორნმუთი
ლინკოლნი — სკანთორპი

13 მაისი

ბორნმუთი — ბერი

14 მაისი

სკანთორპი — ლინკოლნი

## მეორე დივიზიონი

46-ე ტური: ბლეკპული — ჩესტერფილდი 1:1; ბრენტფორდი — პიტერბრო 1:1; ბრისტოლი — პორტ ვეილი 2:0; კოლჩესტერი — ქუინზ პარკი 0:1; კრიუ — კარდიფი 1:1; ჰადერსფილდი — ოლდემი 1:1; მენსფილდი — ნორთჰემპტონი 2:1; ნოტსი — ჩელტენემი 1:0; პლიმუთი — უიკომბი 1:0; სტოკპორტი — ტრანმერი 2:3; სუინდონი — ლუთონი 2:1; უიგანი — ბარნსლი 1:0

## მესამე დივიზიონი

46-ე ტური: ბერი — რექსემი 0:3; კემბრიჯი — ბოსტონი 1:2; დარლინგტონი — ლეიტონი 2:2; კიდერმინსტერი — როჩდეილი 1:1; ლინკოლნი — ტორკი 1:1; მაკლსფილდი — როჩდეილი 3:2; ოქსფორდი — იორკი 2:0; რაშდენი — ჰარტლპული 1:1; შრუსბერი — სკანთორპი 1:2; სუონსი — ჰალი 4:2; კარლაილი — ბორნმუთი 0:2; ექსეტერი — საუთენდი 1:0

# პირველი გოლის ფაქტორი ბუნდესლიგას ცრურწმენის არ სჯერა

## გერმანია

### ბუნდესლიგა XXXI ტური

**ბაიერნი 1:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 კუფური (85)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, თ. ლინკე, ტარნატი, იერემისი (ნ. კოვაჩი 75), ბალაკი, შვაინშტაიგერი (ფიულნერი 68), ზე რობერტო, სანტა კრუზი (კ. პიზარო 38), ელბერი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოცისი, ტ. კლოსი, ლემბი, ჩატო, ხფორცა, ხრისტოვი (ანფანგი 78), ტიმი (ბიელიცა 46), დომინგუში (მიფსუდი 67), ლოკვენცი, კლოზე

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: ბალაკი, სანიოლი, ლემბი, ჩატო

მსაჯი: კემლინგი

63 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 1:2 შტუტგარტი**

0:1, 0:2 დანდი (19, 37), 1:2 კაუფმანი (85)

*კონსტანტინიდისმა ვერ გაიტანა პენალტი (3, მეკარე)*

ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი (იდრისუ 46), ვინიციუსი, შტეფული (კაუფმანი 66), ხაიმე (შტენდელი 80), ლალა, ჰოპესკუ, კრუპნიკოვიჩი, სტაინერი, ბობიჩი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი (ტიფერტი 71), რუი მარკეში, ბორდონი, გერბერი, სოლდო, მეირა, გლები (ვენცელი 77), ბალაკოვი, კურანი (განია 65), დანდი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: შტეფული, ხაიმე, რუ მარკეში

მსაჯი: კინჰოფერი

30 724 მაყურებელი

**დორტმუნდი 2:2 ვოლფსბურგი**

1:0 რიკენი (16), 1:1, 1:2 ტიამი (59, 62), 2:2 როსიცკი (67)

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, მადუნი, ვორნსი, დედე (ლეანდრო 81), როიტერი, კელი, ფრინგსი, როსიცკი, რიკენი, კოლერი (მერლიხი 84), ევერტონი (ჯ. რეინა 64)

მწვრთნელი: მათიას ზამერი

0:1 ბაკენსი (8), 0:2 შულპი (16), 0:3 ჰერტოგი (20), 1:3 ბუტაპარი (45), 2:3 პინასი (47), 3:3 ჰოლმანი (60), 3:4 არვიდ შმიტი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 30 | 24 | 5 | 1 | 77:17 | 77 |
| აიაქსი | 30 | 22 | 5 | 3 | 82:29 | 71 |
| ფეიენოორდი | 30 | 22 | 4 | 4 | 80:35 | 70 |
| ვალვაიკი | 30 | 14 | 4 | 12 | 42:44 | 46 |
| ნაიმეგენი | 30 | 12 | 8 | 10 | 37:38 | 44 |
| უტრეხტი | 30 | 11 | 10 | 9 | 42:39 | 43 |
| როდა | 29 | 11 | 7 | 11 | 46:47 | 40 |
| ჰერენვენი | 30 | 10 | 8 | 12 | 52:51 | 38 |
| ტილბურგი | 30 | 10 | 8 | 12 | 43:44 | 38 |
| ალკმაარი | 30 | 10 | 8 | 12 | 43:61 | 38 |
| ბრედა | 29 | 8 | 13 | 8 | 29:28 | 37 |
| ტვენტე | 30 | 9 | 10 | 11 | 32:40 | 37 |
| როზენდალი | 30 | 10 | 6 | 14 | 32:43 | 36 |
| გრონინგენი | 29 | 6 | 10 | 13 | 25:36 | 28 |
| ზვოლე | 29 | 7 | 6 | 16 | 29:58 | 27 |
| ვიტესი | 30 | 6 | 8 | 16 | 30:46 | 26 |
| ექსელსიორი | 30 | 5 | 7 | 18 | 32:55 | 22 |
| გრააფსხაპი | 30 | 5 | 5 | 20 | 32:74 | 20 |

### II დივიზიონი

30-ე ტური: კამბური — ოსი 1:3; ეინდჰოვენი — ჰაარლემი 1:1; დოორდრეხტი — ვენლო 0:1; სიტარდი — ვეენდამი 3:1; ჰერაკლესი — ჰელმონდი 0:4; დენ ჰააგი — ვოლენდამი 2:0; მაასტრიხტი — იგლსი 2:2; ტელსტარი — ემენი 1:3; სპარტა — დენ ბოსხი 3:4

## ბელგია

### იუპილერლიგა. XXXI ტური

**ბრიუგე 1:1 სენტ ტრუიდენი**

1:0 ენგლებერტი (25), 1:1 მბონაბუკა (85)

**გენტი 3:2 ვესტერლო**

1:0 დელენი (10), 2:0 ბრონო (12), 2:1 ჟ. პეეტერსი (27), 2:2 დიმბალა (30), 3:2 რიბუსი (40)

**ანტვერპენი 3:1 ბევერენი**

1:0 იატარა (18), 1:1 იაპი-იაპო (20), 2:1 სერჟანი (32), 3:1 ევენსი (40)

**მუსკრონი 1:0 ლუვიე**

1:0 მარტინი (72)

**გენკი 5:2 ლიერსი**

0:1 კონე (31), 1:1 სკოკო (37), 2:1, 3:1 ვანდენბერგი (38, 50), 4:1 დაერდენი (56), 5:1 დაგანო (75), 5:2 ტუმპა (89)

**ანდერლეხტი 4:0 ბეერსხოტი**

1:0 იესტროვიჩი (3), 2:0 დე ბუკი (32), 3:0 იესტროვიჩი (50), 4:0 დინდანე (78)

**სტანდარდი 0:0 მეხელენი**

**მონსი 0:0 ლოკერენი**

**შარლერუა 5:0 ლომელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 31 | 25 | 3 | 3 | 93:31 | 78 |
| ანდერლეხტი | 31 | 23 | 2 | 6 | 73:29 | 71 |
| ლოკერენი | 31 | 19 | 5 | 7 | 71:46 | 62 |
| ლიერსი | 31 | 16 | 8 | 7 | 47:39 | 56 |
| სენტ ტრუიდენი | 31 | 16 | 7 | 8 | 62:42 | 55 |
| გენკი | 31 | 16 | 6 | 9 | 74:51 | 54 |
| გენტი | 31 | 17 | 2 | 12 | 56:47 | 53 |
| სტანდარდი | 31 | 14 | 8 | 9 | 51:36 | 50 |
| მონსი | 31 | 13 | 4 | 14 | 42:43 | 43 |
| მუსკრონი | 31 | 12 | 5 | 14 | 51:59 | 41 |
| ვესტერლო | 31 | 10 | 3 | 18 | 34:51 | 33 |
| ლუვიე | 31 | 8 | 8 | 15 | 33:41 | 32 |
| ბევერენი | 31 | 10 | 2 | 19 | 46:69 | 32 |
| ანტვერპენი | 31 | 8 | 7 | 16 | 40:56 | 31 |
| ბეერსხოტი | 31 | 8 | 6 | 17 | 47:56 | 30 |
| შარლერუა | 31 | 7 | 7 | 17 | 42:64 | 28 |
| ლომელი | 31 | 8 | 3 | 20 | 33:68 | 27 |
| მეხელენი | 31 | 3 | 6 | 22 | 20:87 | 15 |

### II დივიზიონი

33-ე ტური: ლიეჟი — რუზელარე 2:1; გეელი — ჰამე 3:1; ვირტონი — დაინცე 2:0; დენდერლეუ — სტრომბეკი 1:0; ეუპენი — პატრო 1:0; დესელი — ვიზეტი 2:2; ვარეგემი — სერკლი 1:1; რონსი — ინგელმუნსტერი 0:2; ჰეუსდენი — ტინენი 2:0

## შვეიცარია

### A ჯგუფი. IX ტური

**ვილი 4:5 ბაზელი**

0:1 ჰუგელი (2), 0:2 ბარბერისი (15), 0:3 ჰუგელი (25), 1:3 პაელოვიჩი (31), 2:3 ფაბინიო (42), 3:3 ლუსტრინელი (48), 3:4 ა. ესპოზიტო (55), 3:5 ხიმენესი (64), 4:5 რიცო (75)

**თუნი 2:1 ქსამაქსი**

0:1 რეი (23), 1:1, 2:1 სტრელერი (43, 55)

**სერვეტი 0:4 გრასჰოპერი**

0:1 ნუნიესი (10), 0:2 კასტილიო (48), 0:3, 0:4 კაბანასი (52, 82)

**ციურიხი 4:2 იანგ ბოისი**

1:0, 2:0 კეიტა (11, 14), 3:0 ფ. გერერო (23), 3:1 სერმეტერი (43), 3:2 მანინი (51), 4:2 კეიტა (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 9 | 6 | 3 | 0 | 21:7 | 46 |
| ბაზელი | 9 | 6 | 1 | 2 | 22:14 | 43 |
| იანგ ბოისი | 9 | 5 | 1 | 3 | 12:14 | 31 |
| ქსამაქსი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:10 | 28 |
| სერვეტი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:14 | 25 |
| ციურიხი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:14 | 24 |
| თუნი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:15 | 24 |
| ვილი | 9 | 1 | 2 | 6 | 10:19 | 21 |

### A/B ჯგუფი

მე-9 ტური: დელემონი — სენტ გალენი 1:4; კრინსი — აარაუ 0:4; ვადუცი — სიონი 1:1

### B ჯგუფი

მე-9 ტური: შაფჰაუზენი — ვოლენი 1:0; კონკორდია — ვინთერთური 3:0; ივერდონი — ბელინცონა 1:0; ბადენი — ლოზანა 4:1

## საბერძნეთი

28-ე ტური: იონიკოსი — ირაკლისი 2:4; ქსანთი — კალითეა 3:0; პანათინაიკოსი — ოფი 5:1; პროდეფტიკი — პანაჰაიკი 1:0; იანინა — ოლიმპიაკოსი 0:3; ეგალეო — აკრატიტოსი 3:1; პაოკ — პანიონიოსი 3:0; აეკ — არისი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 28 | 21 | 4 | 3 | 47:15 | 67 |
| ოლიმპიაკოსი | 28 | 19 | 7 | 2 | 67:20 | 64 |
| აეკ | 28 | 19 | 5 | 4 | 68:27 | 62 |
| პაოკ | 28 | 15 | 5 | 8 | 54:33 | 50 |
| პანიონიოსი | 28 | 14 | 8 | 6 | 31:21 | 50 |
| ირაკლისი | 28 | 14 | 4 | 10 | 41:34 | 46 |
| არისი | 28 | 13 | 6 | 9 | 33:33 | 45 |
| ოფი | 28 | 11 | 8 | 9 | 37:32 | 41 |
| ქსანთი | 28 | 9 | 10 | 9 | 34:29 | 37 |
| ეგალეო | 28 | 7 | 9 | 12 | 25:40 | 30 |
| პროდეფტიკი | 28 | 7 | 8 | 13 | 24:35 | 29 |
| კალითეა | 28 | 5 | 8 | 15 | 26:44 | 23 |
| აკრატიტოსი | 28 | 6 | 5 | 17 | 29:59 | 23 |
| იანინა | 28 | 5 | 7 | 16 | 22:39 | 22 |
| იონიკოსი | 28 | 4 | 8 | 16 | 22:44 | 20 |
| პანაჰაიკი | 28 | 1 | 6 | 21 | 11:66 | 9 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა XXXII ტური

ბრეგენცი — გრაცერი 2:1; ადმირა — რაპიდი 0:1; აუსტრია — კერნტენი 0:3; რიდი — პაშინგი 0:0; შტურმი — ზალცბურგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 32 | 21 | 5 | 6 | 59:25 | 68 |
| გრაცერი | 32 | 12 | 11 | 9 | 46:33 | 47 |
| პაშინგი | 32 | 13 | 8 | 11 | 40:32 | 47 |
| ზალცბურგი | 32 | 12 | 10 | 10 | 41:43 | 46 |
| შტურმი | 32 | 14 | 4 | 14 | 47:56 | 46 |
| რაპიდი | 32 | 10 | 11 | 11 | 34:35 | 41 |
| კერნტენი | 32 | 11 | 7 | 14 | 42:49 | 40 |
| რიდი | 32 | 10 | 8 | 14 | 38:45 | 38 |
| ბრეგენცი | 32 | 7 | 11 | 14 | 43:56 | 32 |
| ადმირა | 32 | 7 | 11 | 14 | 29:45 | 32 |

## თურქეთი

### სუპერლიგა

30-ე ტური: დიარბაქირი — გაზიანთეფი 0:1; ქოჯაელი — მალათია 2:3; გიოზთეფე — ანკარაგიუჯიუ 0:1; ტრაბზონი — გალათასარაი 1:2; ბურსა — ფენერბაჰჩე 2:1; ისთანბული — დენიზლი 2:1; სამსუნი — ელაზიგი 4:3; გენჩლერი — ადანა 0:2; ბეშიქთაში — ალთაი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 30 | 22 | 7 | 1 | 55:17 | 73 |
| გალათასარაი | 30 | 22 | 4 | 4 | 55:24 | 70 |
| გენჩლერი | 30 | 19 | 7 | 4 | 72:33 | 64 |
| გაზიანთეფი | 30 | 14 | 9 | 7 | 52:34 | 51 |
| ტრაბზონი | 30 | 12 | 11 | 7 | 41:27 | 47 |
| ფენერბაჰჩე | 30 | 12 | 10 | 8 | 53:39 | 46 |
| მალათია | 30 | 12 | 9 | 9 | 48:41 | 45 |
| ანკარაგიუჯიუ | 30 | 14 | 3 | 13 | 39:34 | 45 |
| სამსუნი | 30 | 10 | 7 | 13 | 36:50 | 37 |
| ისთანბული | 30 | 10 | 6 | 14 | 38:45 | 36 |
| დიარბაქირი | 30 | 9 | 7 | 14 | 32:42 | 34 |
| ადანა | 30 | 8 | 9 | 13 | 38:50 | 33 |
| დენიზლი | 30 | 8 | 8 | 14 | 30:38 | 32 |
| ალთაი | 30 | 8 | 6 | 16 | 40:65 | 30 |
| ბურსა | 30 | 7 | 8 | 15 | 34:56 | 29 |
| გიოზთეფე | 30 | 5 | 10 | 15 | 27:46 | 25 |
| ელაზიგსფორი | 30 | 6 | 7 | 17 | 32:56 | 25 |
| ქოჯაელი | 30 | 6 | 4 | 20 | 30:55 | 22 |

# გულშემატკივარი ირჩევს უნიტაზს

## რუსეთი

### პრემიერლიგა. VII ტური

**ტორპედო 3:0 სპარტაკი**

1:0 ბუდილინი (31პ), 2:0, 3:0 შირკო (41, 81)

**კრილია სოვეტოვი 3:0 როსტოვი**

1:0 სოუზა (10), 2:0 გაუშუ (29), 3:0 სოუზა (73)

**სპარტაკ-ალანია 1:0 სატურნი**

1:0 ჩოჩიევი (69)

**შინიკი 2:2 რუბინი**

0:1 ნეჩაევი (16), 1:1 კუშევი (30), 2:1 კულჩი (67), 2:2 ირჟი ნოვოტნი (88)

**ზენიტი 0:0 როტორი**

**ტ. მეტალურგი 0:0 ჩერნომორეცი**

**ურალანი 1:5 დინამო**

0:1 კორომანი (7), 0:2 ჩერნაუსკასი (9), 1:2 სემოჩკო (30), 1:3 განეკი (35), 1:4 კორომანი (60), 1:5 ბულიკინი (87)

**ცსკა 2:0 ლოკომოტივი**

1:0 იანოვსკი (14), 2:0 იაროშიკი (38)

**ოლეგ რომანცევი** კიდევ არაერთ სიგარეტის კოლოფს დააცარიელებს მანამდე, სანამ „სპარტაკს" რეანიმაციიდან გამოიყვანს. „სახალხო გუნდი" სახალხო მასხარად გადაიქცა. შვიდი ტურის შემდეგ ერთი სამადლო მოგებით „სპარტაკმა" მეცამეტე საფეხურზე დაიქირავა ბინა.

რომანცევის გუნდმა „ტორპედოსთან" წააგო, იმ „ტორპედოსთან", რომელიც ისედაც უსახურ რუსთა ჩემპიონატში ყველაზე ამაზრზენ ფეხბურთს თამაშობს. ერთმა რუსმა თქვა, ავტოქარხნელების თამაშის ყურებას, უნიტაზში გაშვებული წყლის ყურება მირჩევნიაო.

ალექსანდრ შირკომ ყოფილ თანაგუნდელებს წყვილი გოლი აყლაპა და ერთი თერთმეტმეტრიანიც გაჩარხა. „სპარტაკს" თავიდან ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ ტაიმის შუაში „ტორპედომ" ძრავა მთელი სიმძლავრით აამუშავა და ბუდილინის ზუსტად შესრულებული პენალტით დაწინაურდა. ტაიმის მიწურულს შირკომ სხვაობა ორამდე გაზარდა, მატჩის ბოლოს კი მეტოქე კიდევ ერთხელ დაზაფრა. ტორპედოელებმა მოსკოვურ გუნდებთან უკვე ცხრა ქულა მოაქუჩეს — „სპარტაკამდე" „ლოკომოტივს" და „დინამოსაც" სძლიეს. შეხვედრის შემდეგ დამარცხებულთა მწვრთნელმა სერგეი პავლოვმა თქვა: „დღეს ჩვენს ფეხბურთელებში მოგების სურვილი ვერ დავინახე. უამისოდ თამაშს აზრი არა აქვს. ზოგიერთ მათგანს ჰგონია, რომ ცხრაგზის ჩემპიონისა ყველას ეშინია და სამ-სამ ქულას თავისით მოგვიცუნცულებენ".

ვლადიკავკაზში „სატურნი" ვიტალი შევჩენკოს თავკაცობით ჩავიდა. შევჩენკო ადრე „ურალანში" და მოსკოვის „ტორპედოში" მუშაობდა და ჩრდილო ოსეთიდან ქულა მხოლოდ ერთხელ წაუღია. დანარჩენ შემთხვევებში „სპარტაკ-ალანია" ვიტალი შევჩენკოს გუნდებს ხელმოცარულებს ისტუმრებდა. „სატურნის" მწვრთნელმა ვერც ამჯერად შეძლო გამარჯვება. საგოლე მომენტები ორივე კართან არაერთი შეიქმნა, მაგრამ გოლი ისე გავიდა, არავინ არ ელოდა. მარჯვენა ფლანგზე, აუტის ხაზთან, სტუმრები დაჯარიმდნენ. ჩოჩიევს რონალდინიოსავით გაუვარდა, თითქოს საჯარიმოში ჩააწოდა, მაგრამ ბურთი შორეულ, მაღალ კუთხეში მეკარე ჩიჟოვის ზურგსუკან ჩაეშვა. გათანაბრების სურვილით შეპყრობილი რამენსკოელები მასპინძელთა საჯარიმოში დაფუძნდნენ და გოლიც გაიტანეს, რომელიც თამაშგარე მდგომარეობის გამო მსაჯმა გააუქმა. „სატურნის" მეპატრონეებმა, მწვრთნელთან ერთად, მატჩის შემდეგ ვიდეოფირი წამა-უკუღმა აბზრიალეს და დაასკვნეს — გოლი წესების სრული დაცვით გავიდა, რასაც ფედერაციაში საჩივარი მიაყოლეს.

სამარაში „კრილია სოვეტოვის" ბრაზილიელებმა „როსტოვის" აფრიკელებს მოუგეს. აქამდე დაუმარცხებელი დონისპირელების ალლუმი დასრულდა. სოუზას დუბლის გაუშუმ შუაში „ჩაუმატა" და მეტოქე ცხვირჩამოშვებულები გაისტუმრეს.

ელისტაში იგორ შალიმოვის „ურალანს" გაუტანა ყველამ, ვისაც არ ეზარებოდა. მეცხრე წუთისთვის კორომანისა და ჩერნაუსკასის გოლებით „დინამომ" ნახევარი საქმე მოამთავრა და მერე გაილაღა. „ურალანის", „შინიკის" და „ტორპედო" — „მეტალურგის" მოგებათა გრაფაში კვლავაც ნულები ციმციმებს. „შინიკს" სამი ქულა „რუბინის" ჩეხი ლეგიონერის, ირჟი ნოვოტნის გვიანმა გოლმა არ დაანება.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 7 | 6 | 0 | 1 | 15:6 | 18 |
| დინამო | 7 | 4 | 1 | 2 | 12:7 | 13 |
| ზენიტი | 7 | 3 | 3 | 1 | 6:4 | 12 |
| როსტოვი | 7 | 3 | 3 | 1 | 7:6 | 12 |
| ალანია | 7 | 4 | 0 | 3 | 8:11 | 12 |
| სატურნი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:7 | 11 |
| ტორპედო | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 11 |
| რუბინი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| კრილია | 7 | 1 | 5 | 1 | 8:6 | 8 |
| ჩერნომორეცი | 7 | 1 | 5 | 1 | 5:5 | 8 |
| როტორი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:6 | 7 |
| ლოკომოტივი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 |
| შინიკი | 7 | 0 | 6 | 1 | 6:7 | 6 |
| სპარტაკი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:11 | 6 |
| ტ. მეტალურგი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:8 | 3 |
| ურალანი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:11 | 3 |



პსჟ — მონაკო. სტუმართა მეკარე ფლავიო რომა ფაბრის ფიორეზესთან ვერაფერს გახდა

# ლუი დე ფიუნესი ალექს ფერგიუსონის როლში

## გრეგორინის გლობუსი ბურთი ეგონა

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXXV ტური**

**პსჟ 2:1 მონაკო**

0:1 ნონდა (41), 1:1 ფიორეზე (58), 2:1 რონალდინიო (76პ)

**მარსელი 2:1 ბასტია**

1:0 სიჩოვი (45), 2:0 ვან ბუიტენი (87), 2:1 ბატლე (90)

**სტრასბური 0:4 ლიონი**

0:1 ს. ანდერსონი (5), 0:2 კარიერი (60), 0:3 ლუინდულა (65), 0:4 ვიოლო (80)

**ბორდო 0:1 ოსერი**

0:1 ჯ. სისე (75)

**გენგამი 1:0 ლანსი**

1:0 მალუდა (17)

**ლე ავრი 0:1 აიაჩო**

0:1 ბ. როდრიგესი (76)

**ლილი 1:0 რენი**

1:0 სტერიოვსკი (31)

**მონპელიე 1:0 ნანტი**

1:0 მანსარე (28პ)

**ნიცა 0:0 სედანი**

**ტრუა 0:2 სოშო**

0:1 მონსორო (49), 0:2 ფრო (61)

**მაშ ასე,** „ლიონი“, „მარსელი“ და „მონაკო“ სამი მუშკეტერივით დაწინაურდნენ და დარჩენილ სამ ტურში ყველაზე ფხიანი დაშნის პატრონი ჩემპიონი გახდება.

„ლიონმა“ სტუმრად „სტრასბური“ ისე „დააჩურდავა“, რომ მასპინძლებს დიდხანს დაამახსოვრდებათ. სტრასბურელთა რბევა მალევე დაიწყო. ჟუნინიოს დარტყმული მეკარე ფერნანდესმა კი მოიგერია, მაგრამ მეორე ბრაზილიელმა, სონი ანდერსონმა საგოლედ დაამატა. შესვენებამდე ლიონელები ერთ გოლს დასჯერდნენ, მერე კი ისევ ჩემპიონურად შეუტიეს და სხვაობა ოთხამდე გაზარდეს. ერიკ კარიერიმ და პეგი ლუინდულამ ხუთწუთიანი „ტუში“ შეასრულეს, ხოლო ფილიპ ვიოლომ მეტოქეს საბოლოოდ მოუგრიხა კისერი.

„მარსელმა“ უმოტივაციო „ბასტიას“ მატჩის დებიუტშივე შეუბღვირა და კორსიკელთა მეკარეს, ნიკოლა პენეტოს ოფლი ადინა. დამხვდურებმა „ბასტიას“ სანახები ააოხრეს, რასაც პენეტოს უკანასკნელი იმედის ჯარიმა და მისი გაძევება მოჰყვა. კაცმეტობის მიუხედავად, მარსელელებმა მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს იხეირეს. ლმიტრი სიჩოვმა თავურით ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები კვლავაც უტევდნენ, თუმცა მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე გოლს თავად გადაურჩნენ. სედრიკ ურასის ჩაწოდებულს კარიდან გამომხტარი ვედრან რუნიე ვერ შესწვდა, კორსიკელმა გრეგორი ვინიალმა კი ცარიელი კარი „დაკარგა“ და ბურთი ტრიბუნებს უსახსოვრა. შეხვედრის ბოლოს, ოთხ წუთში ორი გოლი გავიდა. პასკალ იოჰანსენის პასით დანიელ ვან ბუიტენმა მეორე გაიტანა, ხოლო ბასტიელმა ლორან ბატლესმა ფლორიან მორისის პასი შეირგო და სხვაობა შეამცირა.

90-იანი წლების შუაში პსჟ და „მონაკო“ საჩემპიონოდ იბრძოდნენ, ახლა კი პარიზელებს შესაძლოა უეფას თასის საგზურიც კი არ ეღირსოთ. თავიდან მასპინძლებმა იძალეს და ფაბრის ფიორეზემ ორი საგოლე მომენტი გაანიავა. „მონაკო“ მეტოქეს კონტრიერიშებზე ჩაუსაფრდა და ტაიმის მიწურულს კიდეც დაწინაურდა. ლუდოვიკ ჟიულის და დადო პრსოს დაწყებული საქმე შაბანი ნონდამ ზუსტი დარტყმით დაასრულა.

მეორე ნახევარში პსჟ მოღონიერდა და ფრედერიკ დეჰუს პასით ფაბრის ფიორეზემ მაინც გაიტანა. შეხვედრის ბოლოს „მონაკოს“ საჯარიმოში ტურეს წაქცევისთვის მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. სტუმართა ცეცხლოვანი პროტესტის მიუხედავად, ცხადია, არბიტრმა ნასტვენი არ გადათქვა და რონალდინიომ გამარჯვებისა შეაგდო.

„ბორდო“ ცხრილში ქვედასართულელ მეზობელ „ოსერთან“ შინ დამარცხდა და, ფაქტობრივად, პირველობისთვის დოლს ჩამოშორდა. ჟირონდელებმა მთელი მატჩის განმავლობაში უტრიალეს სტუმართა კარს, მაგრამ გასაღები ვერ უპოვეს. სამაგიეროდ, ოსერული, ოთხკაცა კომბინაცია უზადო გამოდგა, რომელიც ჯიბრილ სისეს გოლით დასრულდა.

„მონპელიემ“ მეტად საჭირო სამი ქულა მიითვალა და ლიგაში დარჩენის შანსი შეინარჩუნა. მასპინძლები „ნანტს“ პირველივე წუთებიდან მიუხდნენ და ტაიმის შუაწელში თერთმეტმეტრიანი მოინადირეს. ნიკოლა ჟილემ საჯარიმოში, ფოდე მანსარე დასცა მანსარემ პენალტი თავადვე ზუსტად შეასრულა.

ასევე დასარჩენად მებრძოლმა „სედანმა“ ნიცაში მასპინძლებს ქულა დასტყუა. მეორე ტაიმის დასაწყისში სედანელებს მოდესტა მბამი გაუძევეს, მაგრამ კაცნაკლულებმა ფრე მაინც გაახერხეს.

„ნიცას“ მეკარეს დამიან გრეგორინის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. მან კი გაიკვირვა და ხუმრობის ხასიათზე დადგა: „მანჩესტერი? სად არის, არც კი ვიცი. გეოგრაფიაში ყოველთვის ცუდი ნიშანი მქონდა. ფერგიუსონი? რაღაც მსმენია მის შესახებ, ვგონებ, ლუი დე ფიუნესის ერთ-ერთი გმირის გვარი უნდა იყოს“.

ხუმრობა რომ მოათავა, დამიან გრეგორინიმ თქვა: „რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა „მანჩესტერის“ დარი გუნდი ჩემით დაინტერესდა, მაგრამ „ნიცასთან“ კონტრაქტი 2006 წლამდე მაქვს. თან თვით ფაბიენ ბარტეზსაც კი გაუჭირდა იქ და მე რაღა მელის? ვფიქრობ, ინგლისში გადაბარგება ნაადრევია, ჯერ ალბათ ნიცაში დავრჩები“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 35 | 18 | 10 | 7 | 60:36 | 64 |
| მარსელი | 35 | 18 | 8 | 9 | 37:30 | 62 |
| მონაკო | 35 | 17 | 10 | 8 | 56:29 | 61 |
| ბორდო | 35 | 16 | 9 | 10 | 52:35 | 57 |
| სოშო | 35 | 15 | 12 | 8 | 39:28 | 57 |
| ოსერი | 35 | 16 | 9 | 10 | 34:28 | 57 |
| ნიცა | 35 | 13 | 15 | 7 | 37:26 | 54 |
| პსჟ | 35 | 14 | 11 | 10 | 47:33 | 53 |
| გენგამი | 35 | 16 | 5 | 14 | 47:44 | 53 |
| ნანტი | 35 | 15 | 8 | 12 | 36:33 | 53 |
| ლანსი | 35 | 11 | 15 | 9 | 37:30 | 48 |
| ბასტია | 35 | 12 | 9 | 14 | 36:42 | 45 |
| სტრასბური | 35 | 10 | 11 | 14 | 36:50 | 41 |
| მონპელიე | 35 | 10 | 9 | 16 | 34:46 | 39 |
| ლილი | 35 | 9 | 11 | 15 | 27:42 | 38 |
| რენი | 35 | 9 | 9 | 17 | 30:41 | 36 |
| სედანი | 35 | 9 | 8 | 18 | 36:51 | 35 |
| ლე ავრი | 35 | 9 | 8 | 18 | 24:41 | 35 |
| აიაჩო | 35 | 8 | 11 | 16 | 27:47 | 35 |
| ტრუა | 35 | 6 | 10 | 19 | 21:41 | 28 |

**II დივიზიონი**

35-ე ტური: გრენობლი — ლორიანი 0:0; ლავალი — ლე მანი 1:1; ამიენი — ტულუზი 3:1; კაენი — მეცი 1:0; შატორუ — სენტ ეტიენი 1:1; კლერმონი — ისტრი 1:1; კრეტეი — ვასკეალი 2:1; გენიონი — რეიმსი 2:2; ნანსი — ნიორი 0:0; ვალანსი — ბოვე 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 35 | 19 | 9 | 7 | 48:23 | 66 |
| ლე მანი | 35 | 17 | 12 | 6 | 45:32 | 63 |
| მეცი | 35 | 17 | 10 | 8 | 47:28 | 61 |
| ლორიანი | 35 | 16 | 11 | 8 | 38:27 | 59 |
| შატორუ | 35 | 15 | 11 | 9 | 37:29 | 56 |
| კაენი | 35 | 11 | 14 | 10 | 41:37 | 47 |
| გრენობლი | 35 | 11 | 13 | 11 | 38:27 | 46 |
| ლავალი | 35 | 13 | 7 | 15 | 38:40 | 46 |
| სენტ ეტიენი | 35 | 10 | 15 | 10 | 31:28 | 45 |
| ნიორი | 35 | 11 | 12 | 12 | 36:37 | 45 |
| გენიონი | 35 | 11 | 12 | 12 | 34:37 | 45 |
| ამიენი | 35 | 11 | 12 | 12 | 28:31 | 45 |
| კლერმონი | 35 | 11 | 9 | 15 | 36:45 | 42 |
| ნანსი | 35 | 10 | 12 | 13 | 29:42 | 42 |
| ვალანსი | 35 | 10 | 11 | 14 | 36:41 | 41 |
| ისტრი | 35 | 10 | 11 | 14 | 31:51 | 41 |
| კრეტეი | 35 | 7 | 17 | 11 | 35:39 | 38 |
| რეიმსი | 35 | 6 | 16 | 13 | 31:41 | 34 |
| ვასკეალი | 35 | 6 | 16 | 13 | 23:35 | 34 |
| ბოვე | 35 | 8 | 10 | 17 | 17:29 | 34 |



ჟოზე მაურინიუს (მარცხნივ) გარჯა დაუფასდა, „პორტუ“ ჩემპიონია

### პორტუგალია

**I ლიგა. XXX ტური**

**ნასიონალი 2:0 ვარზიმი**

1:0 გუვეია (32), 2:0 ლუზადა (45)

**სეტუბალი 0:2 ფეირეირა**

0:1 კეიროში (47), 0:2 ჟოზე მანუელი (70)

**აკადემიკა 1:1 მორეირენსე**

0:1 ჯ. პერეირა (22), 1:1 მარინესკუ (51)

**ლეირია 1:1 ბრაგა**

1:0 აცი (29), 1:1 კაშტანეირა (54)

**პორტუ 5:0 სანტა კლარა**

1:0 მ. რიბეირუ (6), 2:0, 3:0 დერლეი სილვა (10, 48), 4:0 დეკო სოუზა (78), 5:0 პოსტიგა (87)

**მარიტიმუ 0:0 ბოავიშტა**

**ბენფიკა 1:2 სპორტინგი**

0:1 კვარესმა (10), 0:2 ჟოაუ პინტუ (34), 1:2 შოკოტა (74)

**ბეირა მარი 2:1 ბელენენსეში**

1:0, 2:0 ლევატუ (24, 37), 2:1 ბეზერა (60)

**გიმარაეში — ჟილ ვისენტე**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**უეფას თასის** ფინალისტი „პორტუ“, შინაური ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე პორტუგალიის ჩემპიონი შეიქნა. ოთხი ტურით ადრეაო, ვამბობთ, თუმცა გერმანიაში „ბაიერნის“ გაჩემპიონების არ იყოს, „პორტუს“ ჩემპიონობაც გაცილებით ადრე იყო ცნობილი და გადაწყვეტილი. მე-19 პორტუგალიური ტიტული „პორტუმ“ „სანტა კლარას“ განადგურების მერე მოიპოვა.

აზორის კუნძულელ სტუმართა ძლევას ვერ გაუძლვა „პორტუს“ მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ, ვინაც წინა მატჩისას სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს და საჩემპიონო მატჩს ტრიბუნიდან უცქერდა. მის ნაცვლად ფეხბურთელებს დარიგებებს თანაშემწე ანტონიო ანდრე აძლევდა, ნამატჩევს კი თქვა, მე არაფერ შუაში ვარ, ეს დიდი წარმატება ჟოზე მაურინიუს დამსახურებაა, ვინაც დღე-ღამეში 24 საათი იღწვის „პორტუს“ საკეთილდღეოდ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 30 | 25 | 4 | 1 | 67:22 | 79 |
| ბენფიკა | 30 | 20 | 5 | 5 | 63:24 | 65 |
| სპორტინგი | 30 | 17 | 6 | 7 | 47:30 | 57 |
| გიმარაეში | 29 | 13 | 7 | 9 | 44:37 | 46 |
| ლეირია | 30 | 12 | 8 | 10 | 42:39 | 44 |
| ჟილ ვისენტე | 29 | 13 | 4 | 12 | 39:40 | 43 |
| ბელენენსეში | 30 | 10 | 8 | 12 | 40:42 | 38 |
| ნასიონალი | 30 | 9 | 11 | 10 | 38:40 | 38 |
| ფეირეირა | 30 | 10 | 8 | 12 | 34:42 | 38 |
| ბოავიშტა | 30 | 8 | 12 | 10 | 29:29 | 36 |
| მორეირენსე | 30 | 8 | 11 | 11 | 37:39 | 35 |
| მარიტიმუ | 30 | 10 | 5 | 15 | 31:46 | 35 |
| ბრაგა | 30 | 7 | 12 | 11 | 27:42 | 33 |
| ვარზიმი | 30 | 9 | 5 | 16 | 31:41 | 32 |
| ბეირა მარი | 30 | 7 | 9 | 14 | 35:49 | 30 |
| სანტა კლარა | 30 | 7 | 9 | 14 | 34:49 | 30 |
| აკადემიკა | 30 | 6 | 11 | 13 | 32:46 | 29 |
| სეტუბალი | 30 | 5 | 11 | 14 | 31:44 | 26 |

**II ლიგა**

30-ე ტური: ალვერკა — ნავალი 1:2; ავეში — შავეში 2:0; კოვილია — ფარენსე 0:0; ოვაირენსე — სალგეირუში 3:1; რიუ ავე — ამადორა 1:0; მარკუ — ლამაში 3:1; ლეცა — მაია 0:0; პენაფიელი — ფელგეირაში 0:1; პორტიმონენსე — მადეირა 0:0

### უკრაინა

23-ე ტური: შახტარი — ვორსკლა 0:0; დინამო — კრივბასი 1:0; ტავრია — ოლიქსანდრია 3:1; ვოლინი — კარპატი 0:1; დნიპრო — ჩერნომორეცი 0:0; მ. ზაპოროჟიე — ობოლონი 2:0; მეტალისტი — ილიჩევეცი 0:1; არსენალი — მ. დონეცკი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 23 | 18 | 3 | 2 | 46:16 | 57 |
| დინამო | 23 | 17 | 4 | 2 | 50:15 | 55 |
| მ. დონეცკი | 23 | 14 | 4 | 5 | 33:19 | 46 |
| არსენალი | 23 | 13 | 6 | 4 | 43:18 | 45 |
| დნიპრო | 23 | 13 | 5 | 5 | 31:16 | 44 |
| ვოლინი | 23 | 10 | 4 | 9 | 27:31 | 34 |
| ტავრია | 23 | 8 | 3 | 12 | 25:34 | 27 |
| კარპატი | 23 | 7 | 6 | 10 | 22:26 | 27 |
| ილიჩევეცი | 23 | 6 | 7 | 10 | 25:30 | 25 |
| კრივბასი | 23 | 6 | 7 | 10 | 18:24 | 25 |
| ჩერნომორეცი | 23 | 7 | 3 | 13 | 18:30 | 24 |
| ოლიქსანდრია | 23 | 5 | 8 | 10 | 21:36 | 23 |
| ვორსკლა | 23 | 6 | 4 | 13 | 16:34 | 22 |
| ობოლონი | 23 | 5 | 6 | 12 | 21:31 | 21 |
| მეტალისტი | 23 | 5 | 4 | 14 | 11:30 | 19 |
| მ. ზაპოროჟიე | 23 | 4 | 6 | 13 | 16:31 | 18 |



გუშინ გიორგი დემეტრაძემ შალვა აფხაზავას „არსენალს“ გოლი გაუტანა

### ნორვეგია

მე-4 ტური: ბრინი — ლილესტრიომი 3:1; რუსენბორგი — ალესუნდი 1:0; სტაბეკი — ბოდიო გლიმტი 0:0; ტრომსიო — ოდ გრენლანდი 0:2; ვოლერენგა — სოგნდალი 3:3; მოლდე — ლინი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 12 |
| სოგნდალი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:5 | 10 |
| ოდ გრენლანდი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 9 |
| ვიკინგი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| სტაბეკი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| ბოდიო გლიმტი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| მოლდე | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 4 |
| ვოლერენგა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ტრომსიო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| ბრინი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| ლილესტრიომი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| ლინი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| ბრანი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:9 | 2 |
| ალესუნდი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:10 | 1 |

### შვედეთი

მე-5 ტური: ჰალმსტადი — ენკოპინგი 3:2; იორგრიტე — ლანდსკრონა 1:1; იოსტერი — აიკ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| ჰამარბი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| იურგორდენი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:1 | 9 |
| ჰელსინგბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ჰალმსტადი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| იოსტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ლანდსკრონა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ორებრო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| გიოტებორგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:2 | 5 |
| მალმიო | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| სუნდსვალი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 4 |
| იორგრიტე | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ელფსბორგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:9 | 4 |
| ენკოპინგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |

### პოლონეთი

24-ე ტური: პოლონია — ლეგია 0:1; ამიცა — გარბარნია 1:2; კატოვიცე — პოგონი 2:0; ოსტროვეცი — ვისლა 0:1; ლეხი — რუხი 0:0; ოდრა — გურნიკი 1:3; ვიძევი — ზაგლებე 2:0; პლოცკი — გროცლინი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 24 | 16 | 5 | 3 | 60:25 | 53 |
| ოდრა | 24 | 15 | 4 | 5 | 49:30 | 49 |
| გროცლინი | 24 | 14 | 6 | 4 | 41:22 | 48 |
| კატოვიცე | 24 | 15 | 2 | 7 | 28:17 | 47 |
| ლეგია | 24 | 13 | 7 | 4 | 46:23 | 46 |
| გურნიკი | 24 | 10 | 8 | 6 | 42:24 | 38 |
| ამიცა | 24 | 8 | 8 | 8 | 33:29 | 32 |
| პოლონია | 24 | 9 | 5 | 10 | 29:37 | 32 |
| ლეხი | 24 | 7 | 9 | 8 | 30:28 | 30 |
| პლოცკი | 24 | 7 | 7 | 10 | 23:29 | 28 |
| ვიძევი | 24 | 7 | 6 | 11 | 23:33 | 27 |
| გარბარნია | 24 | 7 | 5 | 12 | 35:44 | 26 |
| რუხი | 24 | 6 | 8 | 10 | 19:30 | 26 |
| ზაგლებე | 24 | 6 | 6 | 12 | 26:32 | 24 |
| ოსტროვიეცი | 24 | 3 | 7 | 14 | 18:50 | 15 |
| პოგონი | 24 | 2 | 3 | 19 | 13:62 | 9 |

### დანია

26-ე ტური: ესბიერგი — ბრონდბიუ 1:2; ოლბორგი — ვიბორგი 2:3; ორჰუსი — ოდენსე 4:1; ფარუმი — კიოგე 2:1; მიდტიულანდი — სილკებორგი 2:1; კოპენჰაგენი — აკადემისკი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 26 | 13 | 8 | 5 | 50:27 | 47 |
| კოპენჰაგენი | 26 | 13 | 8 | 5 | 40:26 | 47 |
| ფარუმი | 26 | 14 | 2 | 10 | 41:46 | 44 |
| მიდტიულანდი | 26 | 10 | 8 | 8 | 39:34 | 38 |
| ესბიერგი | 26 | 9 | 8 | 9 | 49:49 | 35 |
| ოდენსე | 26 | 8 | 10 | 8 | 41:38 | 34 |
| აკადემისკი | 26 | 8 | 9 | 9 | 35:35 | 33 |
| ოლბორგი | 26 | 10 | 3 | 13 | 34:39 | 33 |
| სილკებორგი | 26 | 8 | 7 | 11 | 39:38 | 31 |
| ვიბორგი | 26 | 7 | 9 | 10 | 41:45 | 30 |
| ორჰუსი | 26 | 8 | 6 | 12 | 37:48 | 30 |
| კიოგე | 26 | 8 | 2 | 16 | 38:59 | 26 |

### ჩეხეთი

26-ე ტური: ბლშანი — ლიბერეცი 1:1; სიგმა — ბოჰემიანსი 3:1; პრჟიბრამი — ტეპლიცე 2:1; იაბლონეცი — ბუდეიოვიცე 1:0; ჟიჟკოვი — სპარტა 2:0; ზლინი — სინოტი 3:0; ჰ. კრალოვე — ბრნო 0:1; სლავია — ბანიკი 7:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 26 | 18 | 4 | 4 | 44:14 | 58 |
| სლავია | 26 | 15 | 9 | 2 | 58:18 | 54 |
| ჟიჟკოვი | 26 | 14 | 5 | 7 | 36:28 | 47 |
| ლიბერეცი | 26 | 13 | 5 | 8 | 38:33 | 44 |
| ტეპლიცე | 26 | 11 | 5 | 10 | 29:30 | 38 |
| ბანიკი | 26 | 11 | 4 | 11 | 34:35 | 37 |
| პრჟიბრამი | 26 | 9 | 8 | 9 | 32:28 | 35 |
| ზლინი | 26 | 9 | 8 | 9 | 29:33 | 35 |
| ბრნო | 26 | 9 | 7 | 10 | 28:26 | 34 |
| სინოტი | 26 | 9 | 5 | 12 | 30:37 | 32 |
| სიგმა | 26 | 7 | 9 | 10 | 23:25 | 30 |
| იაბლონეცი | 26 | 6 | 8 | 12 | 25:34 | 26 |
| ბუდეიოვიცე | 26 | 8 | 5 | 13 | 31:45 | 29 |
| ბლშანი | 26 | 7 | 6 | 13 | 24:31 | 27 |
| ბოჰემიანსი | 26 | 4 | 8 | 14 | 32:51 | 20 |
| ჰ. კრალოვე | 26 | 2 | 12 | 12 | 19:44 | 18 |

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

## რეალი – იუვენტუსი

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

### სავარაუდო შემადგენლობები

კასილიასი; სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი; ფიგუ, მაკელელე, ფ. კონსეისაო, ზიდანი; რონალდო, გუტი

ბუფონი; ტურამი, ფერარა, იულიანო, ძამბროტა; კამორანეზი, ტუდორი, კონტე, ნედვედი; დელ პიერო, ტრეზეგე

დისკვალიფიცირებულნი: *რეალი:* არავინ; *იუვენტუსი:* ედგარ დავიდსი (1 მატჩი), პაოლო მონტერო (1 მატჩი), ალესიო ტაკინარდი (1 მატჩი)





მარჩელო ლიპის სჯერა: ვისენტე დელ ბოსკემ „მალიორკასთან" მარცხიდან დასკვნები ვერ გამოიტანა

# რა და სად სტკივა რეალს?

## თქვენ რას იტყვით სინიორ კაპელო

რა ჰქნა „რეალმა" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „იუვენტუსთან" შეხვედრამდე სამი დღით ადრე? „სანტიაგო ბერნაბეუზე" 1:5 წააგო. „მალიორკასთან" თამაშობდა, 1:0-ს იგებდა და ხუთი (5)! გოლი გაუშვა. მთელი ორწელიწადნახევრის განმავლობაში ეს გახლდათ ესპანეთის ჩემპიონატში ნაწვნევი პირველი საშინაო მარცხი. მადრიდელ ფეხბურთელებს ქომაგებმა უსტვინეს.

მაინც რა იყო ეს, ძალების სულელური დაზოგვა თუ...?

იმავ დღეს, „იუვენტუსმა" რომში „ლაციოსთან" 0:0 ითამაშა.

„იუვეს" მწვრთნელი, მარჩელო ლიპი: „ჩვენთან სულ სხვანაირად ითამაშებენ. იტალიაში რომ თქვა, ლიდერმა ცხრილის შუაში მყოფ გუნდთან შეიძლება 1:5 წააგოსო, გაეცინებათ, მაგრამ ბებერ სამყაროს რას გაუგებ, მით უმეტეს, მნიშვნელოვანი თამაშის წინ. ამ დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მეორე მხრივ კი, „რეალის" ასეთი ანგარიშით მარცხი იმას მეტყველებს, რომ გუნდი უზადო არ არის. აბა, საუკეთესო ფორმაში 1:5-ს ვინ აგებს? სხვა საქმეა, რომ ჩვენ ილუზიები არ უნდა შევიქმნათ".

ლიპის სიტყვებში იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აზრი, რომელიც ბოლოსთვის მოვიტოვეთ:

„არ მჯერა, რომ ამ წაგებიდან „რეალი" რაიმე განსაკუთრებულ დასკვნას გამოიტანს და ეს ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს".

ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ექვსი ტურია დარჩენილი და მართალია, „რეალი" ისევ ლიდერია, მაგრამ მდევარს მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს. სხვა სურათია იტალიაში: „იუვე" „ინტერზე" წინ არის რვა ქულით და პირველობა სამი ტურის შემდეგ დასრულდება. ერთი სიტყვით, ახლა შაბათს, პერუჯაში „ბებერმა ქალბატონმა" შესაძლოა გვირგვინი დაიდგას — 27-ე სკუდეტო მოიგოს.

დღეს კი ეს აქტუალური არ გახლავთ. დღეს ორთავ ბანაკში დაშავებულთ და დისკვალიფიცირებულთ ითვლიან. ამ მხრივ საქმე ასეა: „იუვეს" სამი წამყვანი კაცი ჰყავს დასჯილი. ცენტრალურ მცველს, პაოლო მონტეროს ალბათ მარკ იულიანო შეცვლის, აი, მოედნის შუაში, ედგარ დავიდსისა და ალესიო ტაკინარდის შესაცვლელად კი ლიპის რაიმე ტაქტიკურ-მზაკვრული ილეთის მოფიქრება დასჭირდება. არ არის გამორიცხული, აქაც მარტივად მოხდეს და დავიდს-ტაკინარდის წყვილი იგორ ტუდორისა და ანტონიო კონტეს დუეტმა შეცვალოს, თუმცა ლიპის ამოცნობის სურვილით ანთებული მიმომხილველები ერთ-ერთ ალტერნატიულ ვარიანტად იმასაც ვარაუდობენ, რომ მწვრთნელი საგანგებო ყურადღებას „რეალის" გამთამაშებელს, ზინედინ ზიდანს დაუთმობს და მას ერთბაშად ორ ცერბერს, ალესანდრო ბირინდელისა და ჯანლუკა პესოტოს მიუჩენს.

საინტერესოა, რომ ამჯერად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ოთხივე ისეთმა გუნდმა მოიყარა თავი, ეს თასი ადრე რომ აღუმართავს. ასეთი რამ ბოლოს 1981 წლის გაზაფხულზე მოხდა (თბილისის „დინამომ" თასების თასი რომ მოიგო). მაშინ შეჯიბრებას ლიგა არ ერქვა, მაგრამ ნახევარფინალში „რეალი", „ბაიერნი", „ინტერი" და „ლივერპული" იყვნენ — ეს ისე, „ლირიკულ გადახვევად" ჩაგვითვალეთ.

კიდევ, „რეალი" და „იუვე" ევროპულ ასარბიელზე აქამდე რვაჯერ შეხვედრიან ერთმანეთს — 41 წლის მანძილზე — ბოლოს ეს 1998 წლის ლიგის ფინალი გახლდათ, რომელშიც მადრიდელებმა 1:0 მოიგეს. ეს ამსტერდამში მოხდა და დიდი ბოდიში, მაგრამ პრედრაგ მიატოვიჩმა ერთადერთი გოლი თამაშგარედან შეაგდო.

დიდი დაპირისპირების წინ ბუნებრივი აჟიოტაჟიც ალამაზებს გარემოს. აჟიოტაჟს კი, ცხადია, ჟურნალისტები უბამენ მხარს, მათ „რეალის" ყოფილ თავკაცს, დღეს „რომას" მწვრთნელ ფაბიო კაპელოსაც გამოათქმევინეს აზრი.

„მადრიდელთა დაცვას თუ შეუტევ, ბევრ მტკივნეულ ადგილს მოუძებნი, მაგრამ ყველაფერზე მთავარი მათი ვარსკვლავებისთვის გასაქანის შეზღუდვაა — ბრძანა კაპელომ — საჭიროა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე მათ თამაშის საშუალება არ მისცე და იმავდროულად თავად ითამაშო, „სანტიაგო ბერნაბეუზე" თუ მხოლოდ მათ ჩაკეტვაზე იფიქრებ და თავად თამაშს არ ინდომებ, განწირული ხარ. გარდა ამისა, თუ დაწინაურდები, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გეგონოს, რომ უსაფრთხო პირობებში აღმოჩნდი. „რეალს" ორ-სამ წუთში შეუძლია ანგარიშის გათანაბრება, რაც ისეთმა ძლიერმა მწვრთნელმა, როგორიც მარჩელო ლიპია, ცხადია იცის. მას რჩევა არ სჭირდება".

რაც შეეხება უცნაურ 1:5-ს, ამაზე „რომას" თავკაცმა ბრძანა:

„ალბათ, ეს მარცხი ფსიქოლოგიურ ფაქტორს მიაწერეთ და თვლით, რომ ასე წაგება „რეალისთვის" უცნაური, თუ გნებავთ ისტორიულია, მაგრამ მე ამაში „იუვესთვის" კარგ ნიშანს ვერ ვხედავ. პირიქით, ვშიშობ, რომ ტურინელებს მოსალოდნელზე მეტად გაუჭირდებათ, რადგან მადრიდელები მოსალოდნელზე მეტს იმუშავებენ და ყურადღებასაც ჩვეულებრივზე მეტად მოიკრებენ. ამიტომ „იუვემ" ერთი წუთით არ უნდა იფიქროს, რომ სიძნელეების წინაშე მყოფ მეტოქეს ხვდება".

ასე ფიქრობს და ბრძანებს კაპელო, მაგრამ ჩვენ ლიპის დავუბრუნდეთ:

„მადრიდელები შეგვიტევენ. შეტევა მათი მთავარი იარაღია, მაგრამ იარაღი ჩვენც გვაქვს. მერედა, მოედანზე გასვლის წინ „იუვენტუსი" არასოდეს კრთდება. უფლის ქმედებანი ამოუცნობია, ამიტომ იმედი ყოველთვის ყველას უნდა ჰქონდეს. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ არც „ბარსელონასთან" ვიყავით ფავორიტები. რაც შეეხება იმას, თუ ვის ვათამაშებ დისკვალიფიცირებულთა მაგივრად, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა ტიპის გუნდი დამჭირდება".

აქ კი ჯობს წერტილი დავსვათ, თორემ თუ ამ გახმაურებული მატჩის გარშემო ყველაფერი დავწერეთ, ვშიშობთ, მთელი გაზეთი დაგვჭირდება. დანარჩენი დღეს, შუაღამისას ვნახოთ.

**პაატუნა ძიდია**



დავიდ ტრეზეგე უხასიათობას არ უჩივის

### ურთიერთშეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1961-62 | ჩ.თ. | მეოთხედფინალი | იუვენტუსი 0:1 რეალი |
| | | | რეალი 0:1 იუვენტუსი |
| | | გადათამაშება | რეალი 3:1 იუვენტუსი |
| 1986-87 | ჩ.თ. | მერვედფინალი | რეალი 1:0 იუვენტუსი |
| | | | იუვენტუსი 1:0 (1:3 პენ.) რეალი |
| 1995-96 | ჩ.ლ. | მეოთხედფინალი | რეალი 1:0 იუვენტუსი |
| | | | იუვენტუსი 2:0 რეალი |
| 1997-98 | ჩ.ლ. | ფინალი | რეალი 1:0 იუვენტუსი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეალი იტალიურ კლუბებთან: | 43 | 22 | 5 | 16 | 61:48 |
| რეალი შინ იტალიურ კლუბებთან: | 20 | 16 | 1 | 3 | 39:14 |
| იუვენტუსი ესპანურ კლუბებთან: | 39 | 16 | 9 | 14 | 48:45 |
| იუვენტუსი სტუმრად ესპანურ კლუბებთან: | 18 | 4 | 3 | 11 | 18:31 |

# ფიფა თანახმაა, მაგრამ წინააღმდეგია

**ფიფამ** კვლავაც დაადასტურა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის 32-დან 36 გუნდამდე გაზრდის მომხრეა, მაგრამ ორგანიზაციის აღმასკომის შაბათის სხდომაზე საქმე ამაზე წინ არ წასულა. სხდომაზე ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა თქვა, სურვილი სურვილად, მაგრამ ფორმატის შეცვლის კონკრეტული მექანიზმი უნდა შევიმუშავოთო. ერთი სიტყვით, ფიფამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ივნისისთვის გადადო, როცა აღმასკომი პარიზში შეიკრიბება.

ძველებურია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, ფრანც ბეკენბაუერის პოზიციაც, ვინაც ყველაფრის ძველებურად დატოვებას ითხოვს და წინააღმდეგ შემთხვევაში გადადგომით იმუქრება.

„როცა გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლად აირჩიეს, ვიცოდით, რომ 32 გუნდისთვის უნდა გვემასპინძლა. მოსამზადებელ სამუშაოებსაც ამ მიმართულებით წარვმართავთ. ახლა ფიფას ფულის კეთება მოუნდა და გადაწყვეტილებას ცვლის. ამგვარ პირობებში საქმიანობის გაგრძელებას გადადგომა მირჩევნია" — თქვა ბეკენბაუერმა.

თუ მუნდიალის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა, ახლანდელი რვის ნაცვლად ცხრა ჯგუფი შეიქმნება, ხოლო მერვედფინალში პირველადგილოსნები და 7 საუკეთესო მეორეადგილოსანი გუნდი გავა.

„რაკი თამაშების რაოდენობაც გაიზრდება, ბოლო ტურში თამაშების ერთდროულად ჩატარებას ველარ შევძლებთ, ანუ ზოგ გუნდს წინასწარ ეცოდინება სხვათა მატჩების შედეგები, ეს კი უსამართლობაა" — დასძინა ბეკენბაუერმა.

**ირაკლი ნინიძე**



ზეპ ბლატერსა და ფრანც ბეკენბაუერს შორის ოთხმა ზედმეტმა გუნდმა შავი კატასავით გაირბინა

სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

რეკლამა სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

სარბიელი & კროკო

წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტური

**10 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | მიუნხენი-კოტბუსი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 002 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 003 | დორტმუნდი-ნიურნბერგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 004 | ჰერტა-ბაიერნი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 005 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.30 | 006 | მიონხენგლადბახი-ჰანსა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 007 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 18.30 | 008 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | შალკე-ჰანოვერი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.30 | 010 | არმინია-ბოხუმი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). გადადებული მატჩი

**6 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 023 | ლევერკუზენი(მ)-მიუნსტერი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXX ტური

**6 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 024 | ვერდერი(მ)-დინამო | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIV ტური

**9 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 033 | ერფურტი-ბაიერნი(მ) | 1,8 | 3.3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 034 | ზაარბრიუკენი-უნტერჰახინგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.30 | 035 | შვაინფურტი-ლაუტერნი(მ) | 1.85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 17.30 | 036 | აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 1.75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 17.30 | 037 | ფულენდორფი-რეგენსბურგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 17.30 | 038 | დარმშტადტი-ელვერსბერგი | 2,05 | 3,2 | 3.4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 17.30 | 039 | აალენი-ოფენბახი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 040 | ზიგენი-კიკერსი | 1.8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

**7 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 041 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 042 | არსენალი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |

### ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

**10 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.15 | 053 | ნოტინგემი-შეფილდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 21.30 | 054 | ვოლვერჰემპტონი-რედინგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

### ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

**10 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 055 | კარდიფი-ბრისტოლი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 056 | ოლდემი-ქუინს პარკი | 2,3 | 3,2 | 2.9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

### ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

**10 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 057 | ლინკოლნი-სკანთორპი | 2,25 | 3,2 | 3.0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 058 | ბერი-ბორნმუთი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

### იტალია. სერია "A". XXXII ტური

**10 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 059 | ბოლონია-ლაციო | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 18.00 | 060 | ბრეშა-მილანი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 18.00 | 061 | კომო-კიევო | 3,8 | 3,3 | 1,7 | 1,76 | 1,17 | 1,12 |
| 18.00 | 062 | ემპოლი-ატალანტა | 2,1 | 2.9 | 3,6 | 1,21 | 1,32 | 1,6 |
| 18.00 | 063 | ინტერი-პარმა | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 18.00 | 064 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 065 | იუვენტუსი-პერუჯა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3.0 | | | |
| 18.00 | 066 | პიაჩენცა-რეჯინა | 2,0 | 3,1 | 3.6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 18.00 | 067 | რომა-ტორინო | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 18.00 | 068 | უდინეზე-მოდენა | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXXIII ტური

**10 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 106 | ატლეტიკო-ალავესი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 107 | უელვა-რეალი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 23.00 | 108 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.30 | 109 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 00.30 | 110 | მალიორკა-სოსიედადი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 111 | სელტა-რასინგი | 1.5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 21.00 | 112 | მალაგა-დეპორტივო | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 22.00 | 113 | რაიო-ბეტისი | 2,5 | 3,2 | 2.5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 114 | ვალენსია-ვილიარეალი | 1.4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 115 | ვალენსია-ვილიარეალი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 24.00 | 116 | სევილია-ბარსელონა | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXXV ტური

**10 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 117 | ალბასეტე-ტენერიფე | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |
| 21.30 | 118 | სპორტინგი-კომპოსტელა | 1,9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| 21.30 | 119 | სერესი-ოვიედო | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| 00.30 | 120 | ლას პალმასი-კორდობა | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 121 | ლეგანესი-ფეროლი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 15.00 | 122 | ნუმანსია-სარაგოსა | 3,1 | 2,8 | 2,4 | 1,47 | 1,35 | 1,29 |
| 21.00 | 123 | სალამანკა-ლევანტე | 2,8 | 2,6 | 2,8 | 1,34 | 1,39 | 1,34 |
| 21.00 | 124 | ტერასა-ეიბარი | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 21.00 | 125 | ეხიდო-მურსია | 3,0 | 2,7 | 2,5 | 1,42 | 1,36 | 1,29 |
| 21.00 | 126 | ელჩე-ხეტაფე | 2,1 | 2,8 | 3,8 | 1,19 | 1,35 | 1,61 |
| 22.00 | 127 | ბადახოსი-ალმერია | 2,3 | 2,8 | 3,3 | 1,26 | 1,35 | 1,51 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური

**10 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 128 | მონაკო-მონპელიე | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 129 | მონაკო-მონპელიე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 130 | სედანი-ბასტია | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 23.00 | 131 | ნანტი-გენგამი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 132 | ბორდო-ლე ავრი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.00 | 133 | ოსერი-ლილი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1.25 | 2,23 |
| 23.00 | 134 | სოშო-მარსელი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1.36 | 1,29 | 1,42 |
| 23.00 | 135 | აიაჩო-ნიცა | 2.2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1.3 | 1,57 |
| 23.00 | 136 | რენი-სტრასბური | 1,7 | 3,1 | 4,8 | 1.09 | 1.25 | 1.88 |
| 23.00 | 137 | ლანსი-ტრუა | 1,3 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,06 | 2.21 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 24.00 | 138 | ლიონი-პსჟ | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVI ტური

**9 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 139 | მეცი-გრენობლი | 1,4 | 3.8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2.57 |
| | 140 | მეცი-გრენობლი 0:1 | 1,95 | 3.2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 141 | ტულუზი-გენიონი | 1,4 | 3.8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2.57 |
| | 142 | ტულუზი-გენიონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 143 | ბოვე-კანი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 144 | კრეტეი-ვალანსი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 23.00 | 145 | ისტრი-რეიმსი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1.29 | 1,81 |
| 23.00 | 146 | ლე მანი-კლერმონი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 147 | ლე მანი-კლერმონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 148 | ლორიანი-ამიენი | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 23.00 | 149 | ნიორი-შატორუ | 2,3 | 2,9 | 3,2 | 1,28 | 1,33 | 1,52 |
| 23.00 | 150 | სტ.ეტიენი-ლავალი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1.3 | 1.78 |
| 23.00 | 151 | ვასკეალი-ნანსი | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1.68 |

### პორტუგალია. II ლიგა. XXXI ტური

**11 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 164 | მადეირა-ალვერკა | 2.6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 19.00 | 165 | ნავალი-ავეში | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 19.00 | 166 | შავეში-კოვილია | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 19.00 | 167 | ფარენსე-ოვარენსე | 1.75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1.88 |
| 19.00 | 168 | სალგეიროში-რიო ავე | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.00 | 169 | ამადორა-მარკუ | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 19.00 | 170 | მაია-პენაფიელი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1.24 | 1,95 |
| 19.00 | 171 | ფელგეირაში-პორტიმონენსე | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1.27 | 1,38 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი

**6 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 172 | ბრედა-ზვოლე | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |

### ბელგია. I დივიზიონი. XXXII ტური

**10 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 197 | ლევენი-შარლერუა | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1.24 | 1.76 |
| 23.00 | 198 | ვესტერლო-ანტვერპენი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1.23 | 1,29 | 1,64 |
| 23.00 | 199 | სტ.ტრუიდენი-ლიერსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.00 | 200 | სტანდარდი-გენკი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1.54 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 201 | ბევერენი-მუსკრონი | 2,05 | 3,5 | 3,1 | 1.29 | 1,23 | 1,64 |
| 18.00 | 202 | ბეერსხოტი-მონსი | 1,95 | 3,4 | 3,4 | 1,23 | 1.23 | 1,7 |
| 23.00 | 203 | ლოკერენი-ბრიუგე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1.25 | 1.4 |

### პოლონეთი. XXV ტური

**9 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 238 | გროცლინი-ვიძევი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 239 | გროცლინი-ვიძევი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 240 | ზაგლებე-ლეხი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.00 | 241 | რუხი-გარბარნია | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.30 | 242 | ვისლა-ოდრა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 243 | ლეგია-პლოცკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 244 | ლეგია-პლოცკი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 21.30 | 245 | გურნიკი-კატოვიცე | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **თურქეთი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 246 | ფენერბაჩე-ქოჯაელი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 247 | ადანა-ბეშიქთაში | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 248 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 18.30 | 249 | გაზიანთეფი-გიოზთეფე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 250 | დენიზლი-დიარბაქირი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 251 | მალათია-ისთანბული | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 252 | ელაზიგი-ბურსა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.30 | 253 | ალთაი-სამსუნი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 21.00 | 254 | გალათასარაი-გენჩლერბირლიგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 255 | მაზერველი-სელტიკი | 10,0 | 5,0 | 1,2 | 3,33 | 1,07 | 1 |
| | | **დანია. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 285 | ფარუმი-კოპენჰაგენი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 286 | კიოგე-მიდტიულანდი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 18.00 | 287 | ოდენსე-ოლბორგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 288 | სილკებორგი-ესბიერგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.00 | 289 | ვიბორგი-აკადემისკი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 20.35 | 290 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 291 | ბრიონდბიუ-ორჰუსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **ავსტრია. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 292 | ბრეგენცი-ადმირა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 293 | პაშინგი-კერნტენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 294 | რაპიდი-რიდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 295 | ზალცბურგი-ავსტრია | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 19.30 | 296 | გრაცერი-შტურმი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. X ტური** | | | | | | |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 297 | გრასჰოპერი-თუნი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 298 | გრასჰოპერი-თუნი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 22.30 | 299 | იანგ ბოიზი-ვილი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1.07 | 1,2 | 2,32 |
| 23.15 | 300 | ბაზელი-ციურიხი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 301 | ბაზელი-ციურიხი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.15 | 302 | ქსამაქსი-სერვეტი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **შვედეთი. V ტური** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 325 | ორგრიუტე-გიოტებორგი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საბერძნეთი. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 345 | პაოკ-აეკ | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **ჩეხეთი. თასი. ½ ფინალი.** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 346 | ზლინი-იაბლონეცი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 20.00 | 347 | ბუდეიოვიცე-ტეპლიცე | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| | | **პოლონეთი. თასი. ფინალი. I ეტაპი.** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 348 | ვისლა-პლოცკი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| | | **დანია. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი.** | | | | | | |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 21.30 | 349 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.15 | 350 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **შვეიცარია. თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 351 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2.1 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. ½ ფინალი. I ეტაპი.** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 352 | რეალი-იუვენტუსი | 1,75 | 3,2 | 4,8 | 1,13 | 1,28 | 1,92 |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 353 | მილანი-ინტერი | 2,45 | 2,9 | 2,9 | 1,32 | 1,32 | 1,45 |
| | | **ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 04.40 | 354 | კრუს ასული-დეპორტივო | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 04.10 | 355 | ინდეპენდიენტე-სერო | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 05.40 | 356 | სანტოსი-ნასიონალი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1.03 | 1,17 | 2,6 |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 03.10 | 357 | კობრელოა-უნამ | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 05.40 | 358 | გრემიო-ოლიმპია | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **ჰოკეი. მჩ (ფინეთში).** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 601 | უკრაინა-ავსტრია | 1,8 | 4,6 | 2.7 | 1,29 | 1.08 | 1,7 |
| 18.00 | 602 | დანია-ლატვია | 4.8 | 6.0 | 1,3 | 2,66 | 1.02 | 1,06 |
| 22.00 | 603 | ფინეთი-გერმანია | 1,15 | 7,0 | 8,0 | 1 | 1 | 3,73 |
| 22.00 | 604 | შვეიცარია-შვედეთი | 6,5 | 5,6 | 1,25 | 3 | 1,04 | 1,02 |
| | | **კალათბურთი. იტალია. 1/8 ფინალი.** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 609 | მილანო-ვარეზე | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1.13 | 1 | 2.46 |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 610 | სკიპერი-ტრიესტე | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 23.30 | 611 | ნაპოლი-ბიელა | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| 23.30 | 612 | რიმეტი-კალაბრია | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 05.00 | 629 | დეტროიტი-ფილადელფია | 1,65 | 12,0 | 1,95 | 1,45 | 1 | 1,67 |
| 06.00 | 630 | დალასი-საკრამენტო | 1,75 | 12,0 | 1,85 | 1,52 | 1 | 1,6 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 მაისი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2101 | რეალი-იუვენტუსი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| | | **7 მაისი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2102 | მილანი-ინტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.45 | 2103 | არსენალი-საუთჰემპტ. | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **6 მაისი** | | | |
| 23.45 | 2501 | რეალი-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **7 მაისი** | | | |
| 23.45 | 2502 | მილანი-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2503 | არსენალი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **6 მაისი** | | |
| 23.45 | 2401 | რეალი-იუვენტუსი | 1,55 | 2,5 |
| | | **7 მაისი** | | |
| 23.45 | 2402 | მილანი-ინტერი | 1,85 | 1,95 |
| 23.45 | 2403 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,3 | 3,4 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **6 მაისი** | | |
| 23.45 | 2301 | რეალი-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| | | **7 მაისი** | | |
| 23.45 | 2302 | მილანი-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 2303 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 2001 | რეალი-იუვენტუსი | 2,2 | 2,15 | 4,8 | 1,08 | 1,5 | 1,48 |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 2002 | მილანი-ინტერი | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 23.45 | 2003 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,75 | 2,45 | 6,0 | 1,02 | 1,35 | 1,73 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **6 მაისი** | | |
| 23.45 | 1001 | რეალი-იუვენტუსი | 1,45 | 2,3 |
| | | **7 მაისი** | | |
| 23.45 | 1002 | მილანი-ინტერი | 1,8 | 1,8 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **6 მაისი** | | |
| 23.45 | 2201 | რეალი-იუვენტუსი | 1,8 | 1,8 |
| | | **7 მაისი** | | |
| 23.45 | 2202 | მილანი-ინტერი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2203 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,8 | 1,8 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

**ბრონზომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**
**კვირა 12.00–20.30**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ევროპის ჩემპიონატი
## რიგა 2-4 მაისი



# მინდორაშვილის კავკასიური ევროპა



**რიგაში** დასრულდა ევროპის 48-ე ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ქართველთა მონაგარი ერთი ოქროს და ერთიც ბრინჯაოს მედლებია.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის, ფილა-ს მიერ წონითი კატეგორიებისა და ზოგიერთი წესის შეცვლის მერე 84 კგ წონაში ბევრმა ძლიერმა მოჭიდავემ მოიყარა თავი, განსაკუთრებით რუსეთში. მათმა პირველმა ნომერმა ასამათ საითიევმა თავისი მუსლიმური ვალის მოხდა გადაწყვიტა და მექას მიაშურა. ამით ისარგებლა ვლადიკავკაზელმა ვადიმ ვალიევმა და რიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვა. ამ წონაშია სომხეთის სახელით მოასპარეზე მამედ აგაევი. ამათთან დაძაბულ ბრძოლებში გამოაწრთო თავისი ოქრო რევაზ მინდორაშვილმა. ნახევარფინალში ქართველისა და ოსის ჭიდილში გამარჯვებულის გამოვლენას დამატებითი დროც დასჭირდა. ფინალში კი აგაევთან მინდორაშვილის მიერ ჯვარედინი ჩავლებისას შესრულებულმა შუაკაურმა ბალავაძის და თედიაშვილის ჭიდაობა გაახსენა ასაკოვან მაყურებელს.

120 კგ წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ალექსანდრე მოდებაძემ. ბოლო 5 წელია, აქ რუსებს დაუმარცხებელი ფლავანი, დავით მუსულბესი ჰყავთ და რეალური ბრძოლა მხოლოდ მეორე-მესამე ადგილებისთვის მიმდინარეობს. მოდებაძე მუსულბესს ნახევარფინალში გადაეყარა და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ბრინჯაოსღა შესწვდა. მისი რუმინელი მეტოქე ბევრი ვერაფერი შვილი გამოდგა და 10-ქულიანი სხვაობით დაწინაურების შემდეგ ბრძოლა დროზე ადრე დასრულდა ქართველის გამარჯვებით.

60 კგ წონაში გორელ დავით პოლოსიანს მეორე რუმინელ, პეტრუ ტოარკუსთან ჭიდილში მსაჯებმა აშკარად წაართვეს ბრინჯაო. ძირითადი დრო 1:0 დასრულდა ჩვენიანის სასარგებლოდ. ახალი წესებით, ეს საკმარისი არ არის და ორთაბრძოლა ჯვარედინი ჩავლებით გაგრძელდა. თითქმის ერთწუთიანი ძიძგიალობის შემდეგ ხალიჩაზე მყოფმა მსაჯმა დრო შეაჩერა, რუმინელმა თავი ზედმეტად დახარაო და აპირებდა, პოლოსიანისთვის ქულა მიეცა. მთავარმა მსაჯმა კი ქულა ტუარკუს ჩაუთვალა და ჩვენი მოჭიდავე ჩოქბჯენში დააყენა. რუმინელმაც ისარგებლა პოლოსიანის ანერვიულებით და გადამწყვეტი ქულის მოპოვება შეძლო.

წარუმატებლად იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონმა ელდარ კურტანიძემ. მეოთხედფინალურ შეხვედრაში მისი დამარცხება შეძლო ხაჯიმურატ გაცალოვმა, რომელიც ასევე 84 კგ-ში გამოდის და 96-ში ადამ საითიევის ნაცვლად მოუხდა გასვლა. ადამი მისი ძმასავით მექაში არ წასულა. მან ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე რიგაშივე მიიღო ტრავმა და ხაჯიმურატიც სასწრაფოდ გამოიწვიეს ვლადიკავკაზიდან. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, მჩატე შემცვლელმა შეძლო ის, რაც ადამ საითიევისთვის კარგა ხანია, მიუღწეველია. დაძაბულ ორთაბრძოლაში კურტანიძის დამარცხების შემდეგ გაცალოვმა სხვა მეტოქეებთანაც გაიმარჯვა და მოულოდნელად ევროპის ჩემპიონი გახდა.

**შოთა ძოპალეიშვილი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სარაგბო კლუბი სამძიმარს უცხადებს
კლუბის ვიცე-პრეზიდენტს
ზურაბ ლოსაბერიძეს
**დედის**
გარდაცვალების გამო



ეროვნული ბიბლიოთეკა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## ფორმულა 1. 54-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეხუთე ეტაპი

# შუმახერი ფანტასტიკისკენ მიჰქრის
## ალონსო: მეორე სენა და ახალი შუმახერი?

**ესპანური** ეტაპის უმთავრესი ამბავი, ცხადია, ახალთახალი „ფერარის" პირველი გაჯირითება იყო. ვარაუდი გამართლდა — სუპერშასის და სუპერაეროდინამიკის მქონე უნაკლო „F2003GA"-მ კვალიფიკაციაშიც და რბოლაშიც კონკურენტებს აშკარა უპირატესობით აჯობა. მეტოქეებმა პირველი შოკი შაბათს საპოულე სერიისას მიიღეს, როცა რუბენს ბარიკელოს ბედაურმა საათში 325-კილომეტრიანი სიჩქარე განავითარა, სხვებზე 10 კმ/სთ-ით მეტი. მეორე დღეს კი რბოლისას მიხაელ შუმახერმა სარეკორდო ნიშნული 331,5-მდე აიყვანა.

მიხაელმა მიმდინარე სეზონში მესამე, 13-წლიან კარიერაში კი 53-ე პოული მიითვალა. მის გვერდით სტარტზე რუბინიო მოკალათდა, ხოლო მეორე რიგი რენოელებმა შეავსეს, 21 წლის ესპანელმა ფერნანდო ალონსომ და იტალიელმა იარნო ტრულიმ. უილიამსელების — რალფ შუმახერისა და ხუან პაბლო მონტოიას ერთნაირი, საშუალო შედეგები იმის მოუწყებელი ჩანდა, რომ მათ ბევრი საწვავი ესხათ, ესე იგი, ნაკლები პიტსტოპის ტაქტიკა შეერჩიათ. უხეიროდ გამოვიდნენ ჩემპიონატის ლიდერები — კიმი რაიკონენი და დევიდ კულჰარდი. ამ უკანასკნელს ძრავა გაუფუჭდა და კვალიფიკაცია სათადარიგო ბოლიდით ჩაატარა, ხოლო კიმიმ ახალი საპოულე ფორმატის ავ-კარგი საკუთარ თავზე გამოსცადა, ერთ-ერთ მოსახვევში მანქანა ტრასიდან გადაუცურდა, ოთხ წამზე მეტი დრო დაკარგა და რაკი სტარტზე ბოლო ადგილი არ ასცდებოდა, „მაკლარენის" ხელმძღვანელობამ ბოქსებში უხმო წრის დაუსრულებლად. ასეთ შემთხვევაში ბოლიდი საერთო, დახურულ პარკში არ შეჰყავთ და მექანიკოსებს ბოქსში მუშაობის უფლება ეძლევათ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მათაც ძალ-ღონე არ დაუშურებიათ, მაგრამ წვალება წყალში ჩაეყარათ.

რბოლაზე მოსაყოლი ბევრი არაფერია — მიხაელ შუმახერმა მოსალოდნელი გამარჯვება იზეიმა, ასე რომ, გმირად უფრო ალონსო უნდა ჩაითვალოს, რომელმაც, თავისი გადარეული ფანების გასახარად, ჩინებულად ირბოლა და ორწლიან კარიერაში პირველად შედგა პოდიუმის მეორე საფეხურზე.

„ალფონსომ" დასაწყისშივე იყოჩაღა — ბარიკელოზე ფიცხლად დაიძრა, ოსტატურად აუარა გვერდი და მიხაელს კვალში ჩაუდგა, მაგრამ სწორედ ჩემპიონის ადევნებამ აზარალა, მის უკან შეყოვნებულს რუბენსმა გარე მხრიდან შეუტია და სტატუს-კვოც აღდგა. ის კი არა, ბრაზილიელი პირველ მოსახვევში შუმიზე ოდნავ წინ შეიჭრა, მაგრამ გზას გადასცდა და ჩემპიონმა პოზიცია შეინარჩუნა. ალონსო კვლავ აღმოჩნდა ბარიკელოს წინ პიტსტოპის შემდეგ და მეორეობა ფინიშამდე შეინარჩუნა.

რაიკონენის საუბედუროდ, მასზე ორი ადგილით წინ მდგომ ანტონიო პიცონიას ძრავა ჩაუქრა, ფინელის „მაკლარენი" ჯიქურ შეასკდა ბრაზილიელის „იაგუარს" და ორივე მანქანა გვარიანად დაილეწა. ტრასის გაწმენდას საკმაო დრო დასჭირდა და ხუთი წრე ქარავანს უსაფრთხოების „მერსედესი" მიუძღოდა. მერე კი ყველაფერი „დაგეგმილი სცენარით" წარიმართა — მიხაელი და რუბენსი ადვილად დაწინაურდნენ და მათი შემწუხებელიც არავინ ჩანდა. შუმახერმა სამჯერ, მხოლოდ ბოქსებში სტუმრობისას დათმო მეწინავეობა და უპრობლემოდ მოიპოვა 66-ე დიდი პრიზი, თანაც მეხუთედ ესპანეთისა. ბოლო ორი რბოლის ნახვით ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ წინა წლების ვარიანტი მეორდება და „წითელ ბარონს" სათანადო კონკურენციას ვერავინ გაუწევს. ზედიზედ მეორე მოგებით მიხაელმა მორიგი ათი ქულა მიითვალა და ფანტასტიკური ათასქულიანი ზღვარის დაძლევას 27 ქულაღა აშორებს.

ტრული პირველივე წრეზე კულჰარდთან კონტაქტის შემდეგ გამოეთიშა ბრძოლას. ამის შემდეგ დიდხანს ვერც შოტლანდიელმა გაძლო და ტრასისპირა მოხრეშილ ზონაში დაასრულა ჯირითი.

აღსანიშნავია, რომ ორმა ახალბედამ, ბრაზილიელმა კრისტიანო და მატამ („ტოიოტა") და ინგლისელმა რალფ ფირმენმა („ჯორდანი") ახალდაწყებულ საფორმულო საქმიანობაში პირველი ქულები მოიპოვეს. ბოლოს კი ისევ ალონსოს დავუბრუნდეთ: „მეორე სენად" და „ახალ შუმახერად" მონათლული ოვიედოელი პირველი ესპანელი პილოტი გახდა, ვისაც სამშობლოში ქულები მოუპოვებია. იგი პირველად შარშანწინ გამოჩნდა „სამეფო რბოლებში", მაგრამ მაშინჩალა „მინარდით" კინკილა ქულის შოვნაც ვერ მოახერხა. შარშან ტესტპილოტად მუშაობდა, წლეულს კი „რენოს" ბოლიდი ანდეს და ნიჭიერმა ყმაწვილმძღოლმაც თავი არ შეირცხვინა — განვლილ ხუთივე ეტაპზე ქულები მოიპოვა, რითაც თვით მიხაელ შუმახერიც კი ვერ დაიკვეხნის. ერთი სიტყვით, „მოსავლის ჩემპიონი" იქნებ მართლაც გახდეს დიადი გერმანელის მემკვიდრე.

**გია ახალაძე**



ფერნანდო ალონსოს პირველი მეორე ადგილი

REUTERS ბარსელონიდან



მიხაელ შუმახერი 1000-ქულიან ზღვარს უახლოვდება

REUTERS ბარსელონიდან

### რბოლის შედეგები

**ესპანეთის დიდი პრიზი**
**4 მაისი. ბარსელონა**
დისტანცია — 65 წრე — 307,323 კმ

| | |
|---|---|
| 1. (1) მ. შუმახერი (ფერარი) | 1:33.46,933 (196,6 კმ/სთ) |
| 2. (3) ალონსო (რენო) | ჩამორჩა 5,716 |
| 3. (2) ბარიკელო (ფერარი) | 18,001 |
| 4. (9) მონტოია (უილიამსი) | 102,220 |
| 5. (7) რ. შუმახერი (უილიამსი) | 1 წრით |
| 6. (13) და მატა (ტოიოტა) | 1 წრით |
| 7. (12) ვებერი (იაგუარი) | 1 წრით |
| 8. (15) ფირმენი (ჯორდანი) | 2 წრით |
| 9. (5) ბატონი (BAR) | 2 წრით |
| 10. (14) ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 2 წრით |
| 11. (18) უილსონი (მინარდი) | 2 წრით |
| 12. (19) ფერსტაპენი (მინარდი) | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| (17) ფიზიკელა (ჯორდანი) | გაიარა 43 წრე |
| (6) პანი (ტოიოტა) | 4 |
| (10) ფრენცენი (ზაუბერი) | 38 |
| (8) კულჰარდი (მაკლარენი) | 17 |
| (11) ვილნევი (BAR) | 12 |
| (4) ტრული (რენო) | 0 |
| (16) პიცონია (იაგუარი) | 0 |
| (20) რაიკონენი (მაკლარენი) | 0 |

ფრჩხილებში – საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
მ. შუმახერი 1.17,762 (219,0 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
ბარიკელო 1.20,143 (212,5 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ. ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბ. | აშშ 28 სექტემბ. | იაპონია 12 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **რაიკონენი** მაკლარენი, ფინეთი | 6 | 10 | 8 | 8 | – | | | | | | | | | | | | 32 |
| 2 **მ. შუმახერი** ფერარი, გერმანია | 5 | 3 | – | 10 | 10 | | | | | | | | | | | | 28 |
| 3 **ალონსო** რენო, ესპანეთი | 2 | 6 | 6 | 3 | 8 | | | | | | | | | | | | 25 |
| 4 **ბარიკელო** ფერარი, ბრაზილია | – | 8 | – | 6 | 6 | | | | | | | | | | | | 20 |
| 5 **კულჰარდი** მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 10 | – | 5 | 4 | – | | | | | | | | | | | | 19 |
| 6 **რ. შუმახერი** უილიამსი, გერმანია | 1 | 5 | 2 | 5 | 4 | | | | | | | | | | | | 17 |
| 7 **მონტოია** უილიამსი, კოლუმბია | 8 | – | – | 2 | 5 | | | | | | | | | | | | 15 |
| 8 **ფიზიკელა** ჯორდანი, იტალია | – | – | 10 | – | – | | | | | | | | | | | | 10 |
| 9 **ტრული** რენო, იტალია | 4 | 4 | 1 | – | – | | | | | | | | | | | | 9 |
| 10 **ფრენცენი** ზაუბერი, გერმანია | 3 | – | 4 | – | – | | | | | | | | | | | | 7 |

ვილნევი (BAR), ბატონი (BAR), და მატა (ტოიოტა) — 3; ვებერი (იაგუარი) — 2; ჰაიდფელდი (ზაუბერი), ფირმენი (ჯორდანი) — 1 ქულა

| | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ. ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბ. | აშშ 28 სექტემბ. | იაპონია 12 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **მაკლარენი** | 16 | 10 | 13 | 12 | – | | | | | | | | | | | | 51 |
| 2 **ფერარი** | 5 | 11 | – | 16 | 16 | | | | | | | | | | | | 48 |
| 3 **რენო** | 6 | 10 | 7 | 3 | 8 | | | | | | | | | | | | 34 |
| 4 **უილიამსი** | 9 | 5 | 2 | 7 | 9 | | | | | | | | | | | | 32 |
| 5 **ჯორდანი** | – | – | 10 | – | 1 | | | | | | | | | | | | 11 |

ზაუბერი — 8, BAR — 6, ტოიოტა — 3, იაგუარი — 2 ქულა

საქართველოს 12 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი. პირველი წრე ორ მოგებამდე

# განევ-გამოწევაში თსუ გასწიეს



არჩილ ქლენტი

**პლეი ოფმა** უმნიშვნელო მღელვარებით მოილია პირველი წრე და ნახევარფინალური ოთხეული გაარკვია. სენსაციებმა გვიგანა, მეოთხედფინალები ლოგიკური შედეგით დასრულდა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებენ ის გუნდები, ვინც ამას იმსახურებდა. „დინამო", სტუ, „აზოტი" და ბათუმის „ბასკო" — აი, საპლეიოფო ციებ-ცხელებას შემორჩენილი ზეოთხეული.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ბასკო" — სტუ და „დინამო" — „აზოტი". მეოთხედფინალის დარად ნახევარფინალური სერია ორ მოგებამდე გაგრძელდება.

მეოთხედფინალური წყვილებიდან ყველაზე ცხოველ ინტერესს „აზოტისა" და თსუ-ს დაპირისპირება იწვევდა. სანამ მათ ორმატჩა შეხლას მიმოვიხილავდეთ, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ თსუ ამ ჩემპიონატის ყველაზე დიდ იმედგაცრუებად ჩაითვლება. სტუდენტებს ჰყავთ საქართველოს რამდენიმე ჩემპიონი კალათბურთელი, მათგან ზოგი რამდენიმეგზის ჩემპიონიც, დალვინებული უკანახაზელები და გამოცდილი მეფარეები, თან არათუ პირველი ხუთეულის შესავსებად, არამედ მათ სამარქაფოდაც საკმარისად. ასეთი შემადგენლობით თსუ ერთადერთი მეპლეიოფე გუნდი იყო, რომელსაც შეეძლო ზეოთხეულთან ბრძოლა, მაგრამ კარგი მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა, მაგრამ ცუდად მომართულმა „აზოტთან" ორივე მატჩი ფაქტობრივად უბრძოლველად დათმო.

რუსთავში გამართული პირველი შეხლის ბედი პრაქტიკულად პირველვე მეოთხედში გაირკვა. „აზოტმა" არჩილ ქლენტის მეთაურობით თავიდანვე მაღალ ტემპში შეუტია მეტოქეს და 17:9 დაწინაურდა, როცა საწყისი ათწუთეულის დამთავრებამდე სამიოდ წუთი რჩებოდა. თსუ-მ წუთშესვენება აიღო, მაგრამ თამაში განახლდა და სტუმრებმა დარჩენილი დრო 2:11 წააგეს. თუმცა თსუ სამი გამოცდილი უკანახაზელით თამაშობდა, მაინც ვერაფრით დაალაგა შეტევა. მამუკა ტურაშვილმა, ირაკლი მაისურაძემ და გიორგი ჩხეიძემ სტუდენტებს ვერ უშველეს. პირიქით, ხელჩუბინმა ტურაშვილმა საშუალო მანძილიდან ორჯერ ააცილა, ორჯერაც რუსთაველმა რამაზ გოგობერიშვილმა ჩაუჭრა ბურთი. სტუდენტები ანერვიულდნენ და მათში ყველაზე ემოციური ტურაშვილი რუსთაველ ქომაგსაც გაექაჩა. გაწევ-გამოწევამ თსუ-ს ხეირი ვერ მოუტანა, პირიქით, ტურაშვილი ვერაფრით დაწყნარდა. მეორე მეოთხედის დასაწყისში მის ნასროლს მეტოქემ ლააფარა. თსუ-ს ამბავიც აქ მორჩა. პირველი ტაიმი რუსთაველებმა 53:22 მოიგეს და დარჩენილ დროში მეტოქე 15 ქულაზე ახლოს არ გაიკარეს.

გაწევ-გამოწევა და დაძაბულობა არც საპასუხო მატჩს დაჰკლებია. ჯერ იყო და შეხვედრის შუაში ერთმანეთს თსუ-ელი ირაკლი მაისურაძე და აზოტელი რამაზ გოგობერიშვილი გაექაჩნენ, მერე კი ერთმა თბილისელმა ქომაგმა და მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ აგინეს ერთმანეთს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მავანი გულშემატკივარი თავის ძმაკაცებთან ერთად მოედანზე შეჭრას ლამობდა, მაგრამ შუაში თსუ-ს კალათბურთელები ჩადგნენ და კონფლიქტიც აქ მორჩა. ისე, სიტყვამ მოიტანა და სასურველი იქნებოდა და მეტიც, სავალდებულოც, რომ ასეთი დაძაბული მატჩებისას ათიოდე პოლიციელმა მაინც დაიცვას წესრიგი, თორემ მაჩალაძესა და მის მაგინებელს ჩხუბი რომ გაემართათ, მათი გამშველებლები „მოხალისეები" თუ იქნებოდნენ.

მატჩს დაესწრო საქართველოს ნაკრებისა და „დინამოს" მთავარი მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი. ბრაიკოვიჩი მომავალ მეტოქეს აკვირდებოდა და თან ნაკრების კანდიდატ არჩილ ქლენტის თამაში აინტერესებდა. ადვილი ჩესამჩნევია, ხორვატი მწვრთნელი ქლენტის გარჯით კმაყოფილი ჩანს, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, და ნაკრების მწვრთნელს ნაკრების კანდიდატი აშკარად თვალში მოსდის.

თავად მატჩმა კი ტაიმნახევრით შეინარჩუნა ინტრიგა, მერე კი „აზოტის" უპირატესობა აშკარა გახდა. ერთ მომენტში 21 ქულით დაწინაურებულმა რუსთაველებმა მეტოქე 8 ქულით კი მიიახლოვეს, მაგრამ მესამე მეოთხედის ბოლოსკენ ქლენტის სამქულიანმა და გოგობერიშვილის დიდებულმა თამაშმა „აზოტი" ნახევარფინალში გაიყვანა.

ნახევარფინალში კი „აზოტს" გაცილებით მძლავრი „დინამო" ელოდება. ისე, სანამ რუსთაული კლუბი ნახევარფინალში გავიდოდა, „დინამო" სსუ-მ მაგრად შეაჯანჯღარა და ვაჟა კვარაცხელიას შეგირდებს ოდნავი სიდინჯე და გამოცდილება რომ ჰქონოდათ, ვინ იცის, ეგებ პლეი ოფის მთავარი სენსაცია გამოეცხოთ — ბრაიკოვიჩის „დინამო" გადამწყვეტ მე-3 მატჩისთვის გადაედოთ, მაგრამ სსუ-ს კვერი არ გამოცხვა. ახალგაზრდა სსუ-ელები კი იმით მოიწონებენ თავს რომ მრისხანე მეტოქეს პირველი ტაიმი ფრედ დაუმთავრეს, ხოლო მთლიანად მატჩი ჩემპიონობის მთავარ ფავორიტთან 9 ქულით წააგეს.

**ბაჩო სვანიძე**

### აზოტი 2:0 თსუ

3 მაისი. რუსთავი

**აზოტი 91:66 თსუ**

28:11, 15:11, 24:25, 24:19

აზოტი: ქლენტი (25), ჯიმშელეიშვილი, გოგობერიშვილი (10), ბერუაშვილი (7), ჯაფარიძე (14); ჩაჩუა (20), მაჭარაძე (7), ტყემელაშვილი (6), დანელიანი (2), არწივიძე, გოგსაძე, ლიპარტელიანი

თსუ: მაისურაძე (8), ბერიშვილი (17), გ. ჩხეიძე, ორმოცაძე (16), კილაძე (4); შანიძე (8), ტურაშვილი (5), ვეფხვაძე (5), კორძაძე (3), მიქაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ გელოვანი

4 მაისი. ვერის ბაღი

**თსუ 71:93 აზოტი**

23:27, 12:19, 25:23, 11:24

თსუ: მაისურაძე (24), ტურაშვილი (9), შანიძე (4), ორმოცაძე (10), კილაძე (7); კორძაძე (11), გ. ჩხეიძე (6), არსიაშვილი, ბერიშვილი, ვეფხვაძე, სანიკიძე

აზოტი: ქლენტი (17), ჩაჩუა (16), გოგობერიშვილი (24), ბერუაშვილი (7), ჯაფარიძე (18); მაჭარაძე (6), არწივიძე (2), დანელიანი (2), ლიპარტელიანი (1), გოგსაძე, ჯიმშელეიშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

### დინამო 2:0 სსუ

3 მაისი. ვერის ბაღი

**დინამო 98:49 სსუ**

17:19, 25:12, 38:9, 18:9

დინამო: აბრამიძე (9), ი. ხოშტარია (3), ბეჟანიშვილი (20), ჩუბინიძე (4), სიროვინა (10); მინაშვილი (18), მარკოიშვილი (11), რ. ჩხეიძე (10), ოგანესიანი (7), მუპე (4), თორთლაძე (2)

სსუ: კანკია (2), ჩიტაშვილი (9), სორდია (9), ერქვანია (8), აბულაძე (8); ქვილითაია (5), ურიდია (4), ონიკაშვილი (4), მ. ხოშტარია, ბარბაქაძე, პატარაია

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზურაბ ანდრიაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

4 მაისი. ვერის ბაღი

**სსუ 90:99 დინამო**

24:20, 22:26, 22:29, 22:24

სსუ: კანკია (5), ჩიტაშვილი (24), სორდია (21), ერქვანია (12), აბულაძე (22); ბარბაქაძე (5), ქვილითაია (1)

დინამო: აბრამიძე (4), ი. ხოშტარია (21), ბეჟანიშვილი (16), მუპე (2), სიროვინა (3); მინაშვილი (17), ოგანესიანი (16), მარკოიშვილი (8), თორთლაძე (7), რ. ჩხეიძე (3), ნინიაშვილი (2), ჩუბინიძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლია ქაჯაია

კომისარი: როლანდ ხომერიკი



# ფერერო სახელი კოლოსი, ძალა სპილოსი

**BMW OPEN BY CREDIT SUISSE**

**მიუნხენი. თიხნარი**

**საპრიზო 380 ათასი ევრო**

#### მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — მიხაილ იუჟნი (6, რუსეთი) 6:2, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — სხენგ შალკენი (3, ჰოლანდია) 6:7 (2:7), 7:5, 6:3; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — რაინერ შიუტლერი (4, გერმანია) 6:3, 6:4; იარკო ნიემინენი (8, ფინეთი) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:1, 6:1

#### ნახევარფინალი

ფედერერი — კუბეკი 6:2, 6:1; ნიემინენი — კაფელნიკოვი 6:4, 0:1 კაფელნიკოვმა შეწყვიტა

#### ფინალი

ფედერერი — ნიემინენი 6:1, 6:4

თავისი პირველი საამსეზონო თიხნარტურნირი 21 წლის შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა ისე მოიგო, მეტოქეთათვის ქაციანი სეტიც არ დაუთმია. პირველი მიუნხენური მატჩების შემდეგ ზორბა ალპელი ჰალალად აღიარებდა, რომ თიხნარიან ბოლომდე შესაგუებლად ჯერ კიდევ დრო სჭირდება და რალაცრალაცები დასახვეწი აქვს.

მაგრამ როგორც მერე გამოირკვა, იქ შეკრებილთა შესამჩნევად ფედერერს თურმე არაფერი განსაკუთრებული არ დასჭირვებია. შედეგად — სეზონის მესამე, ხოლო კარიერის მეშვიდე ტიტული და ზედაც 57 ათასი ევრო კაი თაზა BMW Z4-ითურთ.

შეგახსენებთ, რომ წლეულს ფედერერს ექვსი მარცხის წილ უკვე 31 გამარჯვება დაუგროვდა და სანამ მიუნხენურ თიხნარსაფარზე გაილაღებდა, მანამდე მარსელურ და დუბაურ მაგარსაფრებზე იპირველა.

ფინელი იარკო ნიემინენი კი კვლავ პირში ჩოგანგამოვლებული დარჩა — ისევე როგორც მის წინა სამ საკარიერო ფინალში.

**CAM OPEN COMUNIDAD VALENCIANA PRESENTED BY ONOFRE**

**ვალენსია. თიხნარი**

**საპრიზო 400 ათასი ევრო**

#### მეოთხედფინალი

ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — აგუსტინ კალერი (5, არგენტინა) 6:3, 6:4; ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) — გასტონ გაუდიო (4, არგენტინა) 3:6, 7:6 (7:3), 6:3; ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:1, 6:4; კრისტოფ როხუსი (ბელგია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:2, 6:2

#### ნახევარფინალი

ფერერო — სარეტა 7:6 (7:3), 6:2; როხუსი — ვისენტე 6:3, 6:2

#### ფინალი

ფერერო — როხუსი 6:2, 6:4

ხუან კარლოს ფერერო ვალენსიის გარეუბანი ონტენიენტეშია დაბადებული და, ცხადია, პირველ ვალენსიურ ტურნირზე სწორედ მას უნდა ემარჯვა. თუკი კოლობიჭის ქომაგებს თავიდან იქ მარატ საფინისა ეშინოდათ, პირველი წრის შემდეგ ეს შიშიც გაუქრათ — რუსმა გოლიათმა ბარსელონაში ნახარჯი ილაჯი ვერ აღიდგინა და უმალვე გავარდა. ჰოდა, მას შემდეგ დასტური აშკარა შეიქნა — სეზონის მეორე, ხოლო კარიერის მეცხრე ტიტულის მოპოვებაში კოლოფერეროს ჩოგანს ვერარავინ შეუშლიდა.

აკი ვერც შეუშალა. ისე-რა მეტოქეებს მან ციმციმ ჩაურბინა და ფინალში რომ კრისტოფ როხუსს აჯობა, ეს მის მიერ წლეულს ნათამაშებ მე-18 თიხნარმატჩში მოპოვებული მე-17 გამარჯვება გახლდათ. სულ კი მან ამ სეზონში 35 მატჩი ითამაშა და აქედან 29 მოიგო.

ჰო, მართლა — ვალენსიური ჩაუქობა მას 55 ათასი ევროთიც დაუფასდა.

**J&S CUP**

**ვარშავა. თიხნარი**

**საპრიზო 700 ათასი $**

#### ნახევარფინალი

ვინუს უილიამსი (1, აშშ) — დინიზა პლადკოვა (ჩეხეთი) 6:3, 7:6 (7:5); ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — ელენა დოკიჩი (4, სერბეთი) 7:5, 6:2

#### ფინალი

მორესმო — უილიამსი 6:7 (6:8), 6:0, 3:0 უილიამსმა შეწყვიტა

ამელი მორესმოსა და ვინუს უილიამსს ვარშავულ ფინალამდე ერთმანეთში ხუთჯერ ერკინათ და ხუთჯერვე უფროს შავლას წარმატებოდა. განსხვავებულად არც იმდღევანდელი მატჩი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ პირველ სეტში ბულრაობისას ვინუსმა წამოიტკივილა და ისე გაწამდა, მეტოქისთვის ჩოგნის შებრუნება ველარ მოახერხა. ხოლო როცა მიხვდა, რომ ტკივილი უკვე აუტანელი ხდებოდა, საერთოდაც თეთრი დროშის გამოფენა არჩია.

კარიერის მეცხრე ტიტულმა მორესმოს მორალურ კმაყოფილებასთან ერთად 103,500 დოლარიც მოუტანა. ვინუსმა კი შანსი გაუშვა, საკარიერო მონაგარი 30 ტიტულამდე გაეზარდა. სხვათა შორის, ეს მისი მხოლოდ მეოთხე საამსეზონო ტურნირი გახდათ.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS

ვინუს უილიამსი

## NBA PLAY OFF პირველი წრე ოთხ მოგებამდე

# კაცი ვარო, თქვა დაღლილმა ბიჭმა



REUTERS

ალენ აივერსონმა „ნიუ ორლეანთან" ჩვეულად გაინავარდა

2-4 მაისი

## აღმოსავლეთი

### დეტროიტი 4:3 ორლანდო

#### ორლანდო 88:103 დეტროიტი

**ორლანდო: ჯონი (5), გირიჩეკი (12), მაკგრეიდი (37 ქულა, 11 მოხსნა), გუდენი (11 ქულა, 12 მოხსნა), დეკლერკი (4); ამსტრონგი (7), გარიტი (6), კემპი (4), ბურკე (2), ვიტნი, სასერი, ჰანტერი**
**დეტროიტი: ბილაფსი (40), ჰამილტონი (22), კარი (5), რობინსონი (1), ვოლესი (20 ქულა, 17 მოხსნა, 5 დაფარება); უილიამსონი (6), პრინსი (5), ბერი (2), ოქური (2), ეტკინსი**

#### დეტროიტი 108:93 ორლანდო

**დეტროიტი: ბილაფსი (37), ჰამილტონი (22), კარი (5), რობინსონი (5), ვოლესი (7 ქულა, 12 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება); პრინსი (20), ოქური (6), ბერი (4), მენინგი (2), ეტკინსი**
**ორლანდო: არმსტრონგი (8), გირიჩეკი (16), მაკგრეიტი (21), გუდენი (20 ქულა, 17 მოხსნა), გარიტი (10); ჯონი (9), სასერი (3), ვიტნი (2), დეკლერკი (2), ბურკე (2), ჰანტერი, კემპი**

„ორლანდო მეჯიქს" რაც არ ერგებოდა, არც შეერგო. 3:1 უგებლა სერიას „დეტროიტს" და დარჩენილი ერთი გამარჯვების მოლოდინში — თითქოს გამარჯვება თავისით ჩაუვარდებოდა პირში — იმდენი მოახერხა, ზედიზედ სამი შანსი ჩააფლავა, თან წააგო როგორი ანგარიშებით — 31, 15 და კიდევ 15 ქულით.

ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი, მე-7 თამაშის შემდეგ ორლანდოელებს დანით ვერ გაუხსნიდით პირს. ეგაა, მათი ყმაწვილი ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი ცდილობდა მომხდარის გაანალიზებას და მიკროფონიან ხალხთან საუბრისას მიაგნო კიდეც ჭეშმარიტებას — „მოიგო უკეთესმა გუნდმა." ჟურნალისტებმა მაკგრეიდის აგრეთვე სთხოვეს, თავისი არასტაბილური თამაშის მიზეზი, თუ მიზეზები დაესახელებინა, რაზეც ლამის ბავშვობიდანვე „მეჯიქის" მესაპალნე ცხენად ქცეულმა მაკგრეიდიმ უბრალოდ მიუგო — „მე მხოლოდ ადამიანი ვარ და ყოველდღე თანაბრად კარგად ვერ ვითამაშებ."

მან რიგიანად ითამაშა მეექვსე შეხვედრაში, ჩააგდო 37 ქულა და ნაკლებბრწყინვალედ მეშვიდეში, სადაც სეზონის პირველი მექულე 21 ქულას დასჯერდა (თამაშში 24 სროლიდან 16 ააცილა), მაგრამ ძალიან ბევრიც რომ ჩაეგდო ალბათ მაშინაც ვერ უშველიდა „ორლანდოს", რომელიც, მისივე თქმით, როგორც გუნდი, დაიჩაგრა აწყობილ „დეტროიტთან".

### ფილადელფია 4:2 ნიუ ორლეანი

#### ნიუ ორლეანი 103:107 ფილადელფია

**ნიუ ორლეანი: დევისი (21 ქულა, 11 პასი), ვესლი (19), მაშბურნი (36), ბრაუნი (7), მალუა (6); ტრეილორი (6), მოისო (5), ალექსანდერი (2), ლინჩი (1), პეკი, ანდერსონი**
**ფილადელფია: სნოუ (8), აივერსონი (45), ვან ჰორნი (18 ქულა, 18 მოხსნა), ტომასი (10), კოულმენი (16); მაკკი (6), უილიამსი (4), ჰილი, ბაკნერი**

„ფილადელფია სიქსერზმა" დამსახურებულად იმარჯვა, ლომის წილი კი — არ გვიკვირს და — ალენ აივერსონისაა. პირველ თამაშში „ნიუ ორლეანის" კალათში 55 ქულის ჩამგდებმა აივერსონმა შემდეგ თანდათან შეამცირა მონაგარი, რაზეც ორლეანელებმა არასწორი აქცენტი გააკეთეს, ის თუ იფიქრეს, დაიღალაო და აივერსონს საგანგებო ბადრაგი მოუხსნეს. მცდარი ნაბიჯის გადადგმაში მათ „ფილადელფიას" მწვრთნელ ლარი ბრაუნის ნათქვამმაც წაუკრა ხელი. ბრაუნი ბოლო მატჩის წინ ყველას გასაგონად ამბობდა, საჭიროა, აივერსონის გარდა სხვებმაც იტვირთონ შეტევაში ლიდერობაო. „კრაზანებმაც" თავიანთი დაცვა მეტნაკლებად თანაბრად გადაანაწილეს ხუთ ფილადელფიელზე და აქ შეცდნენ. ალენ აივერსონმა თავისუფლება იგრძნო და გაფრინდა. მან 45 ქულა ჩაუგდო მეტოქეს და აქედან ექვსი ბოლო წუთს მიითვალა, რისი წყალობითაც „ფილადელფიამ" ბოლო ხუთ პლეი ოფში მეოთხედ დაძლია პირველი ბარიერი.

„სიქსერზთან" მარცხს შეეწირა „კრაზანების" მწვრთნელი პოლ საილასი, რომელიც ბოლო ხუთი წელია, წვრთნიდა „ჰორნეთსს" და ხუთჯერვე გაიყვანა პლეი ოფში, თუმცა იქ მაქსიმუმ ერთი ეტაპის დაძლევას თუ ახერხებდა.

## დასავლეთი

### დალასი 4:3 პორტლენდი

#### პორტლენდი 125:103 დალასი

**პორტლენდი: სტუდემაიერი (14), ველსი (18), ვოლესი (13), რენდოლფი (21 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (4); პატერსონი (20), საბონისი (16), მაკინისი (7), დანიელსი (4), ვუდსი (4), პიპენი (4)**
**დალასი: ნეში (21), ფინლი (20), ნოვიცკი (4), ლაფრენცი (4), ბრედლი (5); ბელი (11), აბდულ-ვაჰადი (9), ნახერა (8), უილიამსი (7), ეშმეიერი (6), გრიფინი (4), ვან ექსელი (4)**

#### დალასი 107:95 პორტლენდი

**დალასი: ნეში (21), ფინლი (14), ნახერა (7), ნოვიცკი (31 ქულა, 11 მოხსნა), ლაფრენცი (4); ვან ექსელი (26), ბრედლი (4), გრიფინი, ბელი**
**პორტლენდი: სტუდემაიერი (17), ველსი (11), ვოლესი (17), რენდოლფი (14 ქულა, 10 მოხსნა), საბონისი (16); პატერსონი (12), პიპენი (5), დანიელსი (3), მაკინისი, ვუდსი**

„პორტლენდმა" იბრძოლა, იომა, 0:3 ჩამორჩენის შემდეგ ზედიზედ სამჯერ მოუგო „დალასს", სერია მეშვიდე თამაშამდე მიიყვანა და იქაც იომა, მაგრამ გამარჯვების რწმენა არ ეყო, ან შესაძლოა, ადრეულადაც ირწმუნა გამარჯვება, ვინ იცის...

„დალასი" ვერაა გამობრძმედილი გუნდი. მის მოთამაშეებს ნერვებიც უთამაშებთ და თამაშის პიკზე ბევრს უსარგებლოა ამით. „პორტლენდმა" კი ბოლომდე ვერ გამოიყენა ეს, პირიქით, როცა დაძაბულობამ კულმინაციას უწია, მატჩის დამთავრებამდე სამიოდ წუთით ადრე, დალასელმა დირკ ნოვიცკიმ ზედიზედ შვიდი ქულა გააკეთა და „დალასი" 100:94 დააწინაურა. „პორტლენდი" ამაოდ ცდილობდა ნერვების მოთოკვას და შეტევის აწყობას, მაგრამ მისმა მატარებელმა უკვე ჩაიქროლა.

**კოტე ჟორჟია**

# დიდი თუ დიადი

## ტიმ დანკანი ისევ სეზონის უძვირფასესი მოთამაშეა




**ჩრდილოამერიკელ** კალათბურთზე მწერალ ჟურნალისტთა კასტამ ერთხელაც მოაწყო გამოკითხვა და სეზონის უძვირფასესი მოთამაშეც დაასახელა, გამოკითხვაში მონაწილე 119 ამერიკელი და კანადელი ჟურნალისტიდან 60-მა „სან ანტონიო სპურზის" 213-სანტიმეტრიან თავდამსხმელ-ცენტრს ტიმ დანკანს მისცა პირველი ხმა. დანკანმა გამოკითხვაში ჯამში 962 ქულა დააგროვა და 91 ქულით აჯობა მეორე ადგილზე გასულ მინესოტელ კევინ გარნეტს, ვინაც 43 პირველი ხმა მიიღო. გამოკითხვაში მესამე ადგილი შეხვდა „ლეიკერსის" მსროლელ კობი ბრაიანტს, ხოლო სეზონის მთავარმექულე ტრეისი მაკგრეიდის ჟურნალისტებმა ოდენ 4 პირველი ხმა და მეოთხე ადგილი არგუნეს.

ტიმ დანკანი ზედიზედ მეორედ გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, რაც მას იმ 7-კაციან ღიადთა სიაში მერვე კაცად სწერს, რომლებიც მიყოლებით ორჯერ ყოფილან სეზონში საუკეთესონი. ჟურნალისტების გული ზედიზედ ორჯერ ბოლოს, 1991-92 წლებში, მაიკლ ჯორდანმა მოიგო.

დანკანი ალალად იმსახურებდა ამ პრიზს და აღიარებას. ის იმ გუნდის ლიდერია, რომელმაც რეგულარულ სეზონში ყველას აჯობა, თან არ გამოირჩევა ვარსკლავური შემადგენლობით. 2002-03 წლების სეზონში დანკანმა 23,3 ქულა (მე-7 შედეგი ლიგაში, 12,9 მოხსნა (მესამე შედეგი) და 2,9 დაფარება (მესამე შედეგი) მოუტანა „სპურზს", რომელმაც სეზონის სხვა რჩეულების, კევინ გარნეტის და ტრეისი მაკგრეიდის გუნდებისგან განსხვავებით, პლეი ოფის პირველი წრე გაიარა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს.



## NHL სტენლის თასი

მეორე წრე. ოთხ მოგებამდე

# ტყემალი ამერიკელ მსაჯებსაც უყვართ

2-4 მაისი

## აღმოსავლეთი

### ნიუ ჯერსი 4:1 ტამპა

#### ნიუ ჯერსი 2:1 ტამპა *1:1 0:0 0:0 0:0 0:0 1:0*

**0:1 ალექსეევი (12), 1:1 ნიდერმაიერი (14), 2:1 მარშალი (111)**

„რატომ გავაჯანჯლოთ, ბარემ დღესვე მოვათავოთ საქმე" — ალბათ ასე ფიქრობდა თითოეული ნიუჯერსელი. საკუთარი მაყურებლის თვალწინ ტრიუმფს ხომ სულ სხვა მადლი აქვს. ჰოდა, აუსრულდათ ნატვრა. ისე, ძალიან კი გაუჭირდათ. გრანტ მარშალმა მხოლოდ მესამე ოვერტაიმში გაახარა თანაგუნდელები.

### ოტავა 3:2 ფილადელფია

#### ოტავა 5:2 ფილადელფია *2:1 2:0 1:1*

**0:1 ლაპოინტი (1), 1:1 სმოლინსკი (8), 2:1 ალფრედსონი (14), 3:1 ჰავლატი (26), 4:1 ბონკი (30), 5:1 შეფერი (45), 5:2 სომიკი (47)**

ოთხი უმძაფრესი დაპირისპირების შემდეგ სერიის მეხუთე მატჩის შედეგი თითქოს მოულოდნელია, მაგრამ ოტავას იოლად სულაც არ მოუგია. ჯერ ერთი, უკვე 21-ე წამზე კლოდ ლაპოინტმა სტუმრები დააწინაურა და რომან ჩეხმანეკის შეცდომა რომ არა, ვინ იცის, საქმე როგორ წავიდოდა.

## დასავლეთი

### დალასი 2:3 ანაჰაიმი

#### დალასი 4:1 ანაჰაიმი *2:0 1:0 1:1*

**1:0 დიმაიო (10), 2:0 ბარნსი (15), 3:0 კაპანენი (39), 3:1 კარია (45), 4:1 კაპანენი (56)**

მიზანი ამართლებს საშუალებას. მეხუთე მატჩში დალასელებმა როგორც იქნა, შეძლეს და ანაჰაიმის სასწაულმოქმედ მეკარე სებასტიენ ჟიგერს ჯადო ახსნეს, თუმცა არცთუ სუფთად. ყოველი შეტევისას ერთ-ერთი ტეხასელი მეკარის მოედანზე შედიოდა და მსაჯთათვის შეუმჩნევლად ისეთ ილეთებს მიმართავდა, მეტოქისთვის საქმე გაერთულებინა. მსაჯმა მხოლოდ ერთხელ შენიშნა დალასელთა ოინები, როცა კლოდ ლემიე 2 წუთით დააჯარიმა. ამ დროისთვის დალასს პირველი ორი გოლი სწორედ ჟიგერის კართან შექმნილ ზედახორაში გაეტანა.

### ვანკუვერი 3:1 მინესოტა

#### მინესოტა 2:3 ვანკუვერი *1:0 0:0 1:2 0:1*

**1:0 გაბორიკი (20), 1:1 კუკი (43), 2:1 გაბორიკი (44), 2:2 ჟოვანოვსკი (56), 2:3 სომელი (76)**




## მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი

26 აპრილი - 11 მაისი

# რუსული ცოდვის ტვირთი

## ლატვიამ იმიტომ მოიგო, რომ რუსეთს ეთამაშებოდა

| E ჯგუფი | F ჯგუფი |
|---|---|
| სლოვაკეთი 5:1 ფინეთი | კანადა 2:2 დანია |
| ჩეხეთი 5:2 უკრაინა | რუსეთი 2:4 შვედეთი |
| გერმანია 5:1 ავსტრია | შვეიცარია 4:2 ლატვია |
| ფინეთი 9:0 უკრაინა | შვედეთი 7:1 დანია |
| ავსტრია 1:7 სლოვაკეთი | კანადა 4:0 შვეიცარია |
| ჩეხეთი 4:0 გერმანია | ლატვია 2:1 რუსეთი |

„საქართველო... ლატვია... ნეტავ, კიდევ ვისთან წავაგებთ" — ასე სევდიანად დაიწყო 5 მაისს „სპორტ-ექსპრესმა" მსოფლიოს ჩემპიონატის მიმოხილვა. მართლაცდა, როგორც ჩანს, ყოფილ „უმცროს ძმებთან" წარუმატებლობა „უფროსს" უკურნებელ სენად ექცა. ეტყობა, ამ დროს რუსებს ფეხები უკანკალებთ, რაკი ვერც ფეხბურთელებმა გააწყეს ვერაფერი საქართველოში 30 აპრილს და ვერც კვირას ისახელეს თავი ჰოკეისტებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე. აქამდე ლატვიას მეორე ეტაპის ყველა მატჩი წაეგო და მეოთხედფინალში გასვლის მხოლოდ თეორიული შანსიღა რჩებოდა. მაგრამ 4 მაისი ბალტიისპირელთა დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა და აბა, უკეთეს საჩუქარს რას მიუძღვნიდნენ თავს...

რუსებს ფრიც ხელს აძლევდათ და აშკარად ზოგავდნენ ძალებს, რაც ძვირად დაუჯდათ. ლატვიელთა პირველი გოლი ვადიმ რომანოვსკის ჩინებული დარტყმის შემდეგ მალევე გაქვითეს, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, მეორედაც მოუწიათ შაიბის კარიდან გამოტანა, მერე კი, დარჩენილ ათიოდ წუთში, ლატვიელთა უბერებელ მეკარე არტურს ირბეს ვერაფერი მოუხერხეს. ახლა რუსები კანადას უნდა შეხვდნენ და წაგების შემთხვევაში ეგებ პლეი ოფის მიღმაც დარჩნენ.

დანიისადმი აგდებულმა დამოკიდებულებამ უკვე ბევრი დააზარალა. ჰოკეის ექსპერტთა აზრით, ჰანს-კრისტიან ანდერსენისა და ჰამლეტის შთამომავლებმა არ იციან ჰოკეის თამაში, ციგურებზე ისე დგნან, თითქოს ურჩევნიათ, უმისოდ მისრიალებდნენ ყინულზე, საკუთარ კარიან წამდაუწუმ ბორძიკობენ და ძლავრ დარტყმასა და დრიბლინგზეც დაახლოებით თუ აქვთ წარმოდგენა. ასეთი გუნდი კი აშშ-ს გაბითურების შემდეგ კინაღამ კანადასაც ამარცხებს და შვედები ორი პერიოდის შემდეგ ლამის ინფარქტამდე მიჰყავს. რომ არა ბოუმ-სტერიის შემთხვევითი გოლი, ეგებ კანადელებსაც წაეგოთ. „ვიკინგები" კი 35-ე წუთამდე მხოლოდ 2:1 უგებდნენ მეზობლებს. „ადრე ამ დიად ჰოკეისტებს მხოლოდ კომპიუტერული თამაშების მეშვეობით ვებრძოდით, ახლა კი ყინულზე ვხვდებით" — ამაყად განაცხადა დანიელთა ფორვარდმა დანიელ იენსენმა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელეტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოცხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge